

# შობა ყოვლადწმინდისა დედუფლისა ჩვენისა ღვთისმშობლისა და მარადის ქალწულისა მარიამისა

21 სექტემბერს მთელი მართლმადიდებელი სამყარო ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მარიამის შობას დღესასწაულობს. ძე ღვთისამ იმისთვის, რომ ადამის მოდგმა ეხსნა, ადამიანური ბუნების მიღება ინება და დედად ყოვლადწმინდა მარიამი გამოარჩია, რომელიც ერთადერთი იყო ადამიანთაგან, ვისაც ღმერთის დატევნა და სიწმინდის წყაროს განხორციელება შეეძლო.

ქრისტიანთა ამ უდიდეს დღესასწაულს განსაკუთრებული საზეიმო წირვა-ლოცვით აღნიშნავენ დიდუბეში, გელათში, შუამთასა და ბეთანიაში...

სრულიად საქართველოს პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II ბრძანებს: „..საქართველო, როგორც ეს ღვთისმშობელმა ათონის მთაზე ივერიის მონასტრის ბერს გაბრიელს აუწყა, გაბრწყინდება. გაბრწყინდება საქართველო – ღვთისმშობლის წილხვდომილობით...“


# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 20 სექტემბერი, 2008 წელი.

№ 177 (6035)




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika ფასი 50 თეთრი.


## „ვიდრე ჰხედავ, საქართველო?“



რატომ მოგვივიდა ეს ყველაფერი? 3-4

## რა გემართება რუსთ მონობისთვის გამზადებულ-განწირულო, ცანცარა კოკოითო?



2

## როდის დაიწყო რუსეთ-საქართველოს ომი?



## საქართველოს დაყოფის საკითხი რუსეთმა საბოლოოდ და შეუცვლელად გადაწყვიტა



8

## „ის, რომ რუსეთმა მხარზე ხელი დაჰკრა დანიელ ორტეგას და ჰამასს, ძნელად რომ შეიძლება შეაფასო დიპლომატიურ ტრიუმფად“



8

## დევნილი მოსახლეობა და სტუდენტები შეღავათებით ისარგებლებენ



5

აბა, ჩემო მანასეო?!..

# რა გემართება რუსთ მონობისთვის გამზადებულ-განწირულო, ცანცარა კოკოითო?

ყველას კარგად გვახსოვს, როგორ კანკალებდა და იცრემლებოდა რუსთა მარიონეტი კოკოითი 8 აგვისტოს – ყველამ გვიღალატა, რუსეთმაც კი მარტო დაგვტოვა ქართველების პირისპირო.

მერე, სულ რამდენიმე დღეში, როდესაც აგრესორმა რუსეთმა თავისი ჭეშმარიტი სახე გამოაჩინა, გულმოცემულმა ოსმა „მთავარსარდალმა“ კოკოითმა ყინჩად განაცხადა, ჩემს სამფლობელოში – ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე – ამიერიდან ქართველთა ჭაჭანება არ იქნებაო.

მაგრამ, როდესაც რუსმა პატრონებმა ენაჭარტალა კოკოითს თითი დაუქნიეს, ყველას გასაგონად ნუ ამბობ ამასო, მან პოზიცია რადიკალურად შეცვალა და ოთხშაბათს გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, – ჩვენი მიზანია მრავალეროვნულობის განმტკიცება, ყველა ერისა და ეროვნებისთვის ისეთი ნორმალური პირობების შექმნა, როგორიც ჩვენთან გასული საუკუნის 80-იანი წლების მიწურულს იყოო.

კიდევ ერთი მეტამორფოზა:

11 სექტემბერს სოჭში, საერთაშორისო სადისკუსიო კლუბ „ვალდაიში“ გამოსვლისას უფალმა კოკოითმა ერთმნიშვნელოვნად განაცხადა, სამხრეთ ოსეთი რუსეთის შემადგენლობაში შედისო.



და კვლავ საოცარი შემოტრიალება ფლიუგერი კოკოითისა, თანაც ლამის მეყსეული: სულ რაღაც ორ საათში, როდესაც, როგორც ჩანს, რუსმა პატრონებმა, რაკი არ სურდათ, რომ ქართული მიწების ანექსიაში დასდებოდათ ბრალი, კვლავ თითი დაუქნიეს, პოზიცია შეცვალა – არასწორად გაიგეს ჩემი ნათქვამიო...

ახლა, ოთხშაბათს გამართულ პრესკონფერენციაზე კი, კვლავ კოკოითის ხმაურიანი განცხადება: სამხრეთ ოსეთს გადაწყვეტილი აქვს, შევიდეს რუსეთის შემადგენლობაში. სამხრეთი და ჩრდილოეთ ოსეთი – ეს რუსეთის ნაწილებია. ჩვენ ეს არასოდეს დაგვიმალავსო.

თუმცა იქვე დაუმატა, არ ვაპირებთ საკუთარ დამოუკიდებლობაზე უარის თქმასო!

გაუგებარი კია, ღმერთმანი, თუ სხვა სახელმწიფოს შემადგენლობაში გინდა შესვლა, დამოუკიდებელი როგორღა იქნები, ფლიუგერო ედუარდ!

ერთი ჩრდილოეთი ოსეთია დამოუკიდებელი, სადაც ოსურ ენაზე სწავლება მხოლოდ მეოთხე კლასის ჩათვლით მიმდინარეობდა და ახლაც ასეა, დანარჩენი კი ყველგან და ყველაფერი მხოლოდ რუსულია, და მეორე სამხრეთ ოსეთი იქნება, რომელსაც, სხვათა შორის, საქართველოს შემადგენლობაში მყოფს, უფალო ფლიუგერო, ყველაფერი ჰქონდა ეროვნული თვითმყოფადობისა თუ ენისა და კულტურის შენარჩუნებისთვის.

ხოლო რაც ექნება მას, რუსეთის შემადგენლობაში მყოფს, ამის შესახებ ძალიან მოკლედ და ყოვლისმომცველად თქვა ჟირინოვსკიმ ერთ-ერთ რუსულ ტელეარხზე – ოსები ჩვენი მონები იქნებიანო.

არ გინახავს ის გადაცემა, უფალო ფლიუგერო?

რომელიმე შენს თანამოაზრეს მაინც ექნება ნანახი და ჰკითხე!

ისე კი შენი პოზიციის ასეთი ხშირი და, რაც მთავარია, რადიკალური ცვლილებები რისი ბრალია, რუსთა მონობისთვის გამზადებულ-განწირულო სამხრეთოსეთელო ედუარდ?

იმისი ხომ არა, რომ შენი ბატონ-პატრონი რუსებიც, თავიანთი აგრესიულ-გამომწვევი ქმედებებისთვის ლამის მთელი მსოფლიოსგან მათთვის წარმოუდგენელ წინააღმდეგობა-ერთსულოვნებას რომ წააწყდნენ, დაბნეულები არიან და არ იციან, რასა იქმენ?

ასეა თუ ისე, დროა რუსეთისკენ ქნა ფანდარასტი, ცანცარა კოკოითო, ოღონდ მხოლოდ თანამოაზრეებთან ერთად, თორემ ადრინდელი სამხრეთ ოსეთი საქართველოს შემადგენლობაში იყო და იქნება კიდეც.

**აზო შელია**

განსჯა

# როდის დაიწყო რუსეთ-საქართველოს ომი?

**რუსეთში საქართველოს ყოფილმა ელჩმა ზურაბ აბაშიძემ (ვისაც „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ 2 ნოემბრის არჩევნებთან დაკავშირებით „კითხვები დაუსვეს“) ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, რომ დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, განსაკუთრებით კი ბოლო 3-4 წლის განმავლობაში, ქართული საზოგადოებისა და პოლიტიკური ელიტის უმთავრესი შეცდომა რუსეთის ფაქტორის არასწორი შეფასებაა.**

თავისთავად საინტერესოა ამგვარი დასკვნა იმ დიპლომატის მხრიდან, რომელიც სწორედ იმ წლებში იყო საკვანძო დიპლომატიურ თანამდებობებზე (ბრიუსელსა და მოსკოვში), როდესაც რუსეთისადმი საქართველოს პოლიტიკის „მეინსტრიმი“ ყალიბდებოდა.



ეს პოლიტიკა რომ მხოლოდ ბოლო 3-4 წლის შემოქმედება არ არის, – თავად ბატონი ზურაბი აღიარებს, რაკი უფრო ფართო ქრონოლოგიურ ჩარჩოებში ათავსებს პრობლემას, ვიდრე ამჟამინდელი ხელისუფლების ლეგისლატურაა.

მაგრამ ჩვენს საზოგადოებას ის თავისებურებაც ახასიათებს, რომ პოლიტიკის პერსონიფიცირებისას პოლიტიკური რეალობის ევოლუციას არ ითვალისწინებს.

დღევანდელი უმწვავესი პრობლემების ფონზე ბევრს დაავიწყდა, მაგალითად, რომ 2002 წლის 11 სექტემბერს (ანუ „ვარდების რევოლუციამდე“ საკმაო ხნით ადრე) პრეზიდენტმა პუტინმა საქართველოს უპრეცედენტო ულტიმატუმი წაუყენა პანკისის ხეობასთან დაკავშირებით და ფაქტობრივად ომის გამოცხადებით დაემუქრა.

მაშინ რუსეთი „სეპარატიზმის მხარდაჭერაში“ გვდებდა ბრალს. დღეს კი „სეპარატისტების წინააღმდეგ ძალის გამოყენებაში“.

თუმცა, მთავარი ისაა, რომ ამჟამინდელი პრობლემები არათუ ხელისუფლების პერსონალური შემადგენლობიდან, არამედ თვით ხელისუფლების არსიდანაც კი არ გამომდინარეობს.

მართლაც, ძნელად წარმოსადგენია იმაზე მეტად განსხვავებული ორი სახელისუფლებო ფენომენი, ვიდრე შევარდნაძე-სააკაშვილია როგორც პიროვნული, ასევე ინსტიტუციური თვალსაზრისით.

მაშასადამე, აქ საქმე მართლაც ბევრად უფრო ღრმა პრობლემასთან გვაქვს.

სინამდვილეში, საქართველოს პოლიტიკის „რუსული მიმართულება“ ჩაფლავდა ჯერ კიდევ 90-იანი წლების ბოლოს, როდესაც რვაწლიანი მოლაპარაკებები, ვიზიტები, კონსულტაციები, შეთანხმებები დასრულდა სავიზო რეჟიმის შემოღებით და პუტინის ულტიმატუმით.

აქედან გამომდინარე, ის „დიპლომატიური გუნდი“, რომელიც ამ პროცესების მრავალწლიანი მომსწრე და მონაწილე იყო, მართლაც ძალზე საინტერესოდ გამოიყურება სხვადასხვა „საგარეოპოლიტიკური ასოციაციის“ სახელით დღევანდელი ხელისუფლების ჭკუის მასწავლებლის ამპლუაში.

რაც შეეხება რუსეთის ფაქტორის „არასწორ შეფასებას“, სინამდვილეში პრობლემა არასწორი შეფასება კი არ არის, არამედ რეალობასთან შეურიგებლობა; თორემ რუსეთის ფაქტორი აბსოლუტურად სწორადაა შეფასებული - რუსეთს ხელს არ აძლევს სამხრეთ კავკასიაში მისგან დამოუკიდებელი, ერთიანი და წარმატებული სახელმწიფოს არსებობა. გარდა იმ შემთხვევისა, თუ ეს სახელმწიფო მისი ქვეშევრდომი არ იქნება.

ამ რეალობის „სწორად შეფასება“ ერთია, მისი აღიარება, მასთან შერიგება და შესაბამისი პოლიტიკის გატარება კი – სულ სხვა.

„შეურიგებლობა“ სულაც არ ნიშნავს „არასწორად შეფასებას“ და „გაუთვალისწინებლობას“.

თუმცა ამ რთული დილემის თაობაზე პირდაპირ საუბარს ყველაზე გამოცდილი დიპლომატებიც ერიდებიან.

**ნიკა ვაშაკიძე,**
**„ХО-ЭЙ-ЕН“**

პოზიცია

# რობერტ გეითსი: ამ ეტაპზე ყველაზე მნიშვნელოვანი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერაა

**ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მდივნის რობერტ გეითსის განცხადებით ამ ეტაპზე ყველაზე მნიშვნელოვანი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერაა.**



**ეს განცხადება გეითსმა ლონდონში მიმდინარე ჩრდილოატლანტიკური ალიანსის თავდაცვის მინისტრების არაოფიციალურ შეხვედრაზე გააკეთა.**

აშშ-ს თავდაცვის მდივნის თქმით, ნატოს პოზიცია რუსეთის ქმედებებზე ერთიანი უნდა იყოს.

შეხვედრამდე ცოტა ხნით ადრე კი, ჟურნალისტებთან საუბრისას გეითსმა აღნიშნა, რომ დასავლეთი და აღმოსავლეთი ევროპა რუსეთთან ურთიერთობის განსხვავებულ მეთოდებს ითხოვს.

– ჩვენი აზრით, მნიშვნელოვანია ერთიანი პოზიციის ჩამოყალიბება, – განაცხადა გეითსმა.

მისივე თქმით, პარალელურად, ნატო არავითარ შემთხვევაში არ უნდა წამოეგოს რუსეთის პროვოკაციებს და, ამავე დროს, უნდა იმოქმედოს აღმოსავლეთ ევროპული ქვეყნების ინტერესების გათვალისწინებით.

აშშ-ს თავდაცვის მინისტრი რობერტ გეითსი აცხადებს, რომ თუკი რუსეთი საქართველოს ნატოში გაწევრების შემდეგ დაესხმება თავს, ის აშშ-სგან ძალისმიერ პასუხს მიიღებს.

**ინტერპრესნიუსი**

ინფორმაცია

# დანგრეული ძეგლები ერთად უნდა აღვადგინოთ

**ამის შესახებ რუსეთის პრეზიდენტის საგანგებო წარმომადგენელმა საერთაშორისო კულტურული თანამშრომლობის საკითხებში მიხეილ შვიდკოიმ განაცხადა.**

„რია ნოვოსტის“ ცნობით, შვიდკოი მიიჩნევს, რომ ცხინვალში ძეგლები ქართველებისა და ოსების საერთო მემკვიდრეობაა. ისინი ერთმანეთის გვერდიგვერდ ასწლეულების განმავლობაში ცხოვრობდნენ, ამიტომ მათი ტრადიციები და კულტურა მჭიდროდ არის გადაჯაჭვული.

მისივე განცხადებით, ოსეთში არის ტაძრები, რომლებიც ქართველ არქიტექტორებს უკავშირდება, რადგან საბჭოთა ეპოქაში ცხინვალში ქართველი არქიტექტორები აშენებდნენ.

„ყველა დოკუმენტში, რომელსაც რუსეთი იუნესკოსთვის შეიმუშავებს, იქნება ჩვენი წინადადება: იუნესკოს ბაზაზე ექსპერტების შეკრება ქართული და ოსური მხარეებიდან და სამუშაო კონფერენციის ჩატარება ზარალის შესაფასებლად, ძეგლების აღდგენის გზების შესამუშავებლად“, – განაცხადა შვიდკოიმ და დასძინა, რომ მიზანშეწონილია, დიალოგი საერთაშორისო არენაზე – იუნესკოსა და ევროპის საბჭოს მეშვეობით გაიმართოს.

იუნესკოს საქმეთა რუსული კომისიის მონაცემებით, სამხრეთ ოსეთში მთლიანად არის დანგრეული არქიტექტურული ნაკრძალი - III საუკუნის უნიკალურ ნაგებობათა კომპლექსი, მნიშვნელოვნად დაზიანდა ჭურვებისგან წმინდა გიორგის ეკლესია (VIII-IX საუკუნეძ, ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ტაძარი (XVII საუკუნეძ, სინაგოგის შენობა და ცხინვალის სხვა ისტორიულ-არქიტექტურული ობიექტები.

# ნავთობსადენი, იმედია, ქველებურად ამუშავდება

**ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენით ნავთობის ტრანსპორტირება აგვისტოში 2-ჯერ იყო შემცირებული.**

საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის მონაცემებით, ივლისში ნავთობსადენით ტრანსპორტირებული იყო, დაახლოებით, 26,6 მლნ. ბარელი ნავთობი, ხოლო აგვისტოში – 12,387 მლნ ბარელი.



აგვისტოში, ნავთობსადენის თურქულ მონაკვეთზე მომხდარი ხანძრის, შემდეგ საქართველო-რუსეთის კონფლიქტის გამო, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი ორი კვირის განმავლობაში გაჩერებული იყო.

# „მაგთიკომსა“ და „ჯეოსელს“ „მეგაფონი“ ჩაგრავს

**რუსულმა „მეგაფონმა“ საქართველოს ტერიტორიაზე დაფარვის არეალი უკანონოდ გააფართოვა. დაფარვის ზონა გასცდა ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიის ადმინისტრაციულ საზღვრებს და მოიცვა გორისა და ქარელის რაიონები. ამის გამო კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ რუსული კომპანია 500 ათასი ლარით დააჯარიმა.**

გადაწყვეტილება ამის შესახებ კომისიის დღევანდელ სხდომაზე მიიღეს. პირველი ჯარიმა 5 ათასი ლარი ცხინვალსა და ჯავის რაიონში უკანონო მოქმედებების გამო „მეგაფონს“ 11 ივნისს დაეკისრა.

კომისიის სხდომას „მეგაფონის“ წარმომადგენელიც ესწრებოდა. ნონა ყაველაშვილის განცხადებით, „მეგაფონის“ სავაჭრო ნიშნით სარგებლობს ჩრდილოეთ კავკასიაში მოქმედი კომპანია „მობიკომ კავკაზი“ და, შესაძლოა, სწორედ ის ახორციელებს უკანონო მოქმედებებს საქართველოს ტერიტორიაზე.

როგორც კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარე გიორგი არველაძე აცხადებს, „მეგაფონი“ ტექნიკურ პრობლემებს უქმნის საქართველოში ლიცენზირებულ მობილურ კომპანიებს „მაგთიკომს“ და „ჯეოსელს“.

**ინტერპრესნიუსი**

## ვინ როგორ ხედავს

# რატომ მოგვივიდა ეს ყველაფერი?

**რატომ მოგვივიდა ეს ყველაფერი? შეიძლებოდა თუ არა ამ უბედურების თავიდან აცილება? ამის შემდეგ რა მოგვივა? — აი, კითხვები, რომლებიც დღეს ჩვენს ხალხს აწუხებს. აშკარაა, რომ ხელისუფლებისა და ექსპერტების მხრიდან ამ კითხვებზე მრავალგზის გაცემული ნაირ-ნაირი პასუხი ვერ აკმაყოფილებს ჩვენი საზოგადოების დიდ ნაწილს. ამ წერილში შემოგთავაზებთ მოკლე ანალიზს და ვეცდებით ობიექტური პასუხი გავცეთ ამ კითხვებს.**

დავიწყოთ რუსეთით. რუსეთის ხელისუფლების მოქმედების გაგება შეუძლებელია, თუ მის სრულიად ირაციონალურ ბუნებასა და მოტივაციას არ გავითვალისწინებთ. ხელისუფლების სათავეში მოსული ჩეკისტ-კაპიტალისტები წარმოადგენენ ყველაზე კორუმპირებულ ხელისუფლებას რუსეთის ისტორიაში. ამავდროულად, მათ გაცილებით უფრო სძულთ დასავლეთი, პირველ ყოვლისა კი აშშ, ვიდრე უყვართ რუსეთი. შესაბამისად, ისინი ყოველთვის მზად არიან ჩაიდინონ ნებისმიერი რამ, რა საზიანოც არ უნდა იყოს ეს რუსი ხალხისთვის, ოღონდ გული მოიფხანონ იმით, რომ რაღაც მეტოქეობა გაუწიეს დასავლეთს, რომ რაღაცით გაუტოლდნენ აშშ-ს. მათ საერთოდ არ სწამთ ისეთი ფასეულობებისა, როგორიცაა თავისუფლება, დემოკრატია, ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებები და ა.შ., მიაჩნიათ, რომ ეს ყველაფერი შირმაა, რომელსაც დასავლეთში მმართველი „კაპიტალისტური" ელიტა იყენებს თავისი ხალხის მოსატყუებლად (პუტინი გულწრფელი იყო, როცა განაცხადა, რომ თვითონ არის ყველაზე დიდი დემოკრატი და ჰუმანისტი მსოფლიოში და რომ მაჰათმა განდის გარდაცვალების შემდეგ ვერავის ხედავს, რომ ამ თემებზე დაელაპარაკოს).

პუტინმა და მისმა ჩეკისტურმა დაჯგუფებამ ძალაუფლება ხელში ჩაიგდეს მოსკოვში საცხოვრებელი სახლების აფეთქებების მოწყობით, არაერთი თანამოქალაქის ფიზიკურად განადგურებითა და ამ დანაშაულის ტერორისტებზე გადაბრალების გზით, შემდეგ კი ჩეჩნეთში ნამდვილი გენოციდის მოწყობით. ისინი მართლა განიცდიან „ბოროტების იმპერიის" — სსრკ-ის დაშლას, როგორც მეოცე საუკუნის უდიდეს გეოპოლიტიკურ კატასტროფას და უდიდეს პირად დამცირებად მიაჩნიათ სსრკ-ის დაშლის შემდეგ არსებული ვითარება. ნავთობსა და გაზზე ფასების უპრეცედენტო ზრდამ მსოფლიოში ბოლო ათი წლის განმავლობაში, მრავალმილიარდიანი შემოსავალი მოუტანა რუსეთის კორუმპირებულ ელიტას და მათ პრაქტიკულად მთლიანად დაუკარგა რეალობის შეგრძნება. რეალობის შეგრძნების მაგივრად კი ამ უკულტურო ადამიანებს გაუჩნდათ განცდა, რომ მათთვის ყველაფერია შესაძლებელი, რომ ვერავინ მოსთხოვს პასუხს. არ შევუდგებით აქ ამ თეზისის დამადასტურებელი მრავალი, სრულიად მარაზმული განცხადებისა და გადაწყვეტილების ჩამოთვლას, რომელიც გაკეთდა რუსეთის ხელისუფლების მიერ ბოლო წლებში მთელი მსოფლიოს გასაოცად. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ წინა წლებში მათ ასეთ ქმედებებზე დასავლეთის სათანადო რეაქციის შემდეგ არაერთხელ მოუხდათ უკანდახევა. ეს კი მათ მხოლოდ არასრულფასოვნების კომპლექსს ულრმავებდა და ბოლოს უზრდიდა.

ნატოს და აშშ-ის სამხედრო მოქმედება მილოშევიჩის რეჟიმის წინააღმდეგ, რუსეთის ხელისუფლებამ დიდ დამცირებად აღიქვა. სწორედ ჯერ კიდევ მაშინ და არა კოსოვოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, მათ გადაწყვიტეს თავიანთი „პრესტიჟის" აღდგენა მათი მხრიდან ჩატარებული „ანალოგიური" ოპერაციით. საკმარისია, გადავხედოთ რუსეთის საზღვარს მთელ პერიმეტრზე, რომ დავინახავთ: საქართველო „საუკეთესო პოლიგონია" ასეთი „ანალოგიური" ოპერაციისთვის. ცნობილია, რომ 2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ პუტინმა აქტიური თანამშრომლობა შესთავაზა აშშ-ის პრეზიდენტ ჯორჯ ბუშს საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლაში და ამავდროულად ამცნო, რომ რუსეთი აპირებს მასშტაბური ანტიტერორისტული სამხედრო ოპერაციების ჩატარებას თავის სამხრეთ საზღვრებთან, ანუ საქართველოს ტერიტორიაზე და იმედი აქვს, რომ აშშ გაგებით მოეკიდება ამას (გავიხსენოთ, რომ იმხანად რუსეთს უკვე ჩატარებული ჰქონდა პროპაგანდისტული მომზადება — რუსეთის ხელისუფლება საჯაროდ აცხადებდა, რომ საქართველოში საერთაშორისო ტერორისტების ბანაკების მთელი ქსელი იყო გაშლილი, რომ თვით ბინ ლადენიც, როგორც ჩანს, საქართველოში იმალებოდა. ალბათ, ბევრს ახსოვს სატელევიზიო კადრები, როგორ მოუწოდებდა პუტინი თავის გენერლებს დაებომბათ საქართველოს ტერიტორია და საჭიროების შემთხვევაში სახმელეთო ოპერაციებიც ჩაეტარებინათ). მაშინ, 2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ, აშშ-ის ადმინისტრაციამ ძალზე ხისტი პასუხი გასცა პუტინს. ფაქტობრივად, აუკრძალა მას საქართველოში შეჭრა. პუტინი დაემორჩილა ამ აკრძალვას, თუმცა ეს უდიდეს შეურაცხყოფად აღიქვა...

კოსოვოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისა და დასავლეთის მიერ ამის აღიარების შემდეგ პუტინის დაჯგუფება უკვე აშკარად აცხადებდა თავის რევანშისტულ გეგმებს. მათ ამაზე არაერთი პირდაპირი თუ ირიბი განცხადება და მინიშნება გააკეთეს. ამა წლის აპრილში პუტინის ცნობილი გადაწყვეტილება, დაერღვია დსთ-ის ხელშეკრულება აფხაზეთის სეპარატისტული რეჟიმისადმი დამოკიდებულების თაობაზე, ცხადია, ნიშნავდა იმას, რომ რუსეთი ღია აგრესიულ პოლიტიკაზე გადადიოდა. დანარჩენი ყველას კარგად ახსოვს: რკინიგზის შეკეთება აფხაზეთში „ჰუმანიტარული" მიზნებისთვის (ანუ ტანკებისა და სხვა მძიმე ტექნიკის გადმოსასროლადძ; კოკოითის ღია აგრესიული მოქმედებები: მისგან წინასწარ გამოცხადებული ეთნიკური წმენდა; განუწყვეტელი თავდასხმები და სროლა ცხინვალის რეგიონში ქართული მოსახლეობის მიმართ; ცხინვალის წინასწარი „ევაკუაცია" და შემდეგ უკვე უწყვეტი ცეცხლის გახსნა, ბოლოს 7 აგვისტო და შემდეგი მოვლენები.

შეეძლო თუ არა საქართველოს ხელისუფლებას თავიდან აეცილებინა, ან თუნდაც შეემსუბუქებინა ის ტრაგედია, რომელიც დატრიალდა ჩვენს თავს? არაერთი ობიექტური და ღრმა პოლიტოლოგი (მათ შორის რუსი მეცნიერებიც არიანძ ამტკიცებს, რომ პუტინის დაჯგუფება ყველა შემთხვევაში მოახდენდა აფხაზეთისა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ოკუპაციას. ამ დღეებში პრეზიდენტმა მედვედევმა გამოაცხადა, რომ არ შეიკავებდა თავს სამხედრო მოქმედებებისგან იმ შემთხვევაშიც, თუ საქართველოს უკვე განაღდებული ექნებოდა ნატოში გაწევრება ***(როგორც ჩანს, მედვედევი ა. წ. აპრილში საქართველოსთვის ნატოში გაწევრების სამოქმედო პროგრამის მიცემის შესაძლებლობას გულისხმობდა)***.

ზოგიერთი ცნობილი უცხოელი მიმომხილველი უფრო შორს მიდის და ამტკიცებს, რომ ევროპაში არსებული ვითარების გამო ნატო სამხედრო მეთოდებით არ დაიცავდა საქართველოს რუსეთის აგრესიისგან იმ შემთხვევაშიც, საქართველო ნატოს სრულუფლებიანი წევრიც რომ ყოფილიყო. დამოუკიდებელი რუსი სამხედრო ექსპერტი პაველ ფელგენგაუერი თავის ცნობილ წერილში აღნიშნავს, რომ პუტინის დაჯგუფებამ და რუსეთის გენერალიტეტმა ჯერ კიდევ ა. წ. აპრილში მიიღეს გადაწყვეტილება საქართველოში სამხედრო ინტერვენციის თაობაზე და იმთავითვე განსაზღვრეს, რომ ეს უნდა განეხორციელებინათ არა უგვიანეს ა. წ. აგვისტოს მეორე ნახევრისა, კავკასიონის ქედზე ამ პერიოდში ამინდის ცვლილების გამო. ფელგენგაუერი იმასაც ამბობს, რომ რაც არ უნდა მოემოქმედა საქართველოს ხელისუფლებას, ინტერვენცია მაინც განხორციელდებოდა. იმ შემთხვევაში, თუ ქართველები არ წამოეგებოდნენ პროვოკაციას და არ შევიდოდნენ ცხინვალში, — წერს ფელგენგაუერი, — რუსეთის არმია (აფხაზი სეპარატისტების ხელითძ შეუტევდა კოდორს და ქართველების მხრიდან სულ მცირე წინააღმდეგობის შემთხვევაში (რაც აუცილებლად იქნებოდაძ ზუსტად იმავე სცენარით იმოქმედებდა, როგორითაც იმოქმედა. ამ მხრივ მთლიანად ვეთანხმებით ფელგენგაუერსა და სხვა ექსპერტებს, მაგრამ ეს არ გვათავისუფლებს იმ კითხვაზე პასუხისგან, რომელიც დავსვით: გააკეთა თუ არა საქართველოს ხელისუფლებამ ყველაფერი, რისი გაკეთებაც შეიძლებოდა, სწორედ და დროულად, ერისთვის დიდი ტრაგედიის თავიდან ასაცილებლად?

ელემენტარული ობიექტურობა ითხოვს იმას, რომ ამ კითხვაზე მკვეთრად უარყოფითი პასუხი გავცეთ. მიგვაჩნია, რომ იმ დიდი, საქართველოსთვის ჭეშმარიტად ისტორიული წარმატებების ფონზე, რომლებსაც საქართველოს ხელისუფლებამ მიაღწია „ვარდების რევოლუციის" შემდეგ სახელმწიფოს აღმშენებლობისა და განვითარების საქმეში, ხელისუფლების პოლიტიკა რუსეთისადმი და ასევე აფხაზეთში და ცხინვალის რეგიონში კონფლიქტების მოგვარების სფეროში თავიდანვე იყო სრულიად მცდარი და კონტრპროდუქტიული. ცხინვალის რეგიონში 2004 წლის ზაფხულის ცნობილ მოვლენებს უმძიმესი შედეგები მოჰყვა. სწორედ მაშინ გადაწყვიტეს პუტინმა და მისმა გარემოცვამ, რომ საქართველოს ხელისუფლებამ ისინი მოატყუა (პუტინისა და მისი საქმოს ჟარგონზე ეს ასე ფორმულირდებოდა: ქართველებმა „გადაგვაგდეს", „გადამგდებლები" ყოფილან და მათთან ლაპარაკი აღარ შეიძლება, „მორჩა ბაზარი"ძ. უნდა აღინიშნოს, რომ მანამდე საქართველოს ხელისუფლებასთან განხორციელებული კონტაქტები პუტინს ასეთი განწყობის გარკვეულ საფუძველს მართლაც აძლევდა. სწორედ 2004 წლის ზაფხულში დაინტერესებულ მხარეებში დამკვიდრდა იმის რწმენა, რომ საქართველოს ხელისუფლება არ აპირებს კონფლიქტების მშვიდობიან მოგვარებას, არამედ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას ძალის გამოყენებით აპირებს, სამშვიდობო რიტორიკა კი მხოლოდ აბრაა, რომლის მიღმა საქართველო გამალებით იარაღდება, რათა ხელსაყრელი მომენტი იხელთოს და სათანადო ბლიცკრიგი განახორციელოს.

2004 წლის ზაფხულის შემდეგ დღემდე, საქართველოს ხელისუფლების კონტრპროდუქტიული მოქმედება მხოლოდ უღრმავებდა და უმტკიცებდა ამ რწმენას სათანადოდ განწყობილ ადამიანებს: საკმარისია, გავიხსენოთ არაერთი საჯარო განცხადება ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის თაობაზე კონკრეტული ვადების მითითებით და იმის აღნიშვნით, რომ თუ მშვიდობიანი მეთოდები არ გაჭრის, მაშინ „სხვა" (?!) მეთოდებიც იქნება გამოყენებული (ბოლო ასეთი, სრულიად ტრაგიკომიკური განცხადება სულ ცოტა ხნის წინათ მოვისმინეთ უშიშროების საბჭოს მდივნისგან, რომელმაც განაცხადა ტელევიზიით, რომ ახლა უკვე „ახალგორს დავიბრუნებთ დიპლომატიური მეთოდებით და თუ ეს არ გამოვა, მაშინ სხვა მეთოდებს მივმართავთ"); კლიპები, სადაც ქართველი ჯარისკაცები სწრაფ შეტევაზე გადასულები ყვირიან: „ჩვენ გავათავისუფლებთ..." და მხოლოდ აფეთქებების ხმა ფარავს იმას, თუ რას გაათავისუფლებენ, თუმცა ეს ისედაც ცხადია მტრისა და მოყვრისთვის; მთავრობის წევრის განცხადება (კოდორში შესვლის შემდეგ), რომ კოდორი არის პლაცდარმი, საიდანაც აფხაზეთს დავიბრუნებთ; არაერთი ლონისძიება კოდორში შესვლის შემდეგ; დიდი ზიანი, რომელიც მიადგა საქართველოს სახელმწიფოებრიობას ჩვენი ხელისუფლების გალის რაიონში პროაქტიური მოქმედებით; ალტერნატიული ხელისუფლების (სანაკოევის) „კარტის გათამაშება" ცხინვალის რეგიონში, რასაც გარდაუვლად უნდა გამოეწვია რეგიონის გაწმენდა ქართველი მოსახლეობისა და სანაკოევის მთავრობისგან; აგრესიული, შეურაცხმყოფელი რიტორიკა რუსეთისა და რუსეთის პოლიტიკური ხელმძღვანელობის მიმართ, რის უფლებასაც მსოფლიოს არც ერთი სხვა სახელმწიფოს ხელმძღვანელობა თავს არ აძლევდა (უნდა ითქვას, რომ ეს რიტორიკა არაპროპორციულად დიდ ბოღმასა და სიძულვილს იწვევდა პუტინში, რომლის ღრმა არასრულფასოვნების კომპლექსსა და ნევროპათიაზე ცნობილმა რუსმა ფსიქიატრმა საჯაროდ ჯერ კიდევ წლების წინათ ისაუბრა) და მრავალი სხვა.

აღვნიშნოთ, რომ თვით ძირითადი ლოზუნგი „ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა" იყო და არის ღრმად მცდარი და კონტრპროდუქტიული. ერთადერთი სწორი ლოზუნგი იყო, ცხადია, შერიგება, ნდობის

იხ. 4 გვ.



# „ვიდრე ჰხვალ, საქართველო?"

## ინფორმაცია

# რის ხარჯზე მცირდება საქართველოს საგარეო ვალები?

**საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალი და სახელმწიფო გარანტიით აღებული კრედიტების საერთო ოდენობა, 31 აგვისტოს მდგომარეობით, 2 331758 000 აშშ დოლარია, — იტყობინებიან ფინანსთა სამინისტროდან.**

ერთ თვეში საქართველოს საგარეო ვალი, დაახლოებით, 41 მლნ აშშ დოლარით შემცირდა. 2008 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით, საქართველოს ორმხრივი კრედიტორების მიმართ ვალის ნაშთი შეადგენს 526 502 000 აშშ დოლარს, მათ შორის: ავსტრია — 1,659 მლნ დოლარი; აზერბაიჯანი — 14,427 მლნ დოლარი; თურქმენეთი — 1,611 მლნ დოლარი; თურქეთი — 41,841 მლნ დოლარი; ირანი — 11,319 მლნ დოლარი; რუსეთი — 119,988 მლნ დოლარი; სომხეთი — 17,420 მლნ დოლარი; უზბეკეთი — 378 ათასი დოლარი; უკრაინა — 345 ათასი დოლარი; ყაზახეთი — 27,774 მლნ დოლარი; ჩინეთი — 4, 385 მლნ დოლარი; გერმანია — 172,570 მლნ დოლარი; იაპონია — 49,105 მლნ დოლარი; ქუვეითი — 13,972 მლნ დოლარი; ნიდერლანდები — 9,873 მლნ დოლარი; აშშ — 39,835 მლნ დოლარი.

ინტერპრესნიუსი

◉ ვინ როგორ ხედავს

(მესამე გვერდიდან)

აღდგენა, რეგიონების ეკონომიკური, სოციალური, კულტურული განვითარების ხელშეწყობა და ამის შემდეგ (რა თქმა უნდა, ვადების მითითების გარეშე), მხარეების კეთილი სურვილის არსებობის შემთხვევაში, ერთობლივი მსჯელობა სტატუსზე.

რაკი იმაზე დავიწყეთ მსჯელობა, თუ როგორი მოქმედება იქნებოდა მართებული, ისიც ვთქვათ, რომ საქართველოს ხელისუფლებას თეორიულად (მაგრამ მხოლოდ თეორიულად) შეეძლო ისე ემოქმედა, რომ აეცდინა რუსეთის სამხედრო ინტერვენციაც და ამავდროულად გაცილებით წარმატებულიც ყოფილიყო დასავლეთთან და კერძოდ ნატოსთან ინტეგრაციის გზაზე. ამისთვის საჭირო იყო არ დაგვეშვა ყველა ის შეცდომა და კონტრპროდუქტიული მოქმედება, რომელიც ჩამოვთვალეთ. საჭირო იყო იმ სწორი ლოზუნგის არჩევა, რომელიც ზევით ვახსენეთ და შესაბამისი პოლიტიკის თანამიმდევრული გატარება. რუსეთის ხელისუფლებისთვის სიტყვითა და საქმით საჭირო იყო იმის დამტკიცება, რომ საქართველოს ხელისუფლება არასოდეს მოატყუებს მათ; რომ ყოველთვის გამოძებნის დიპლომატიურ გზებს, რათა შეურაცხყოფა არ მიაყენოს რუსეთს (გავიხსენოთ რუსი ჯაშუშების საქართველოდან გაძევების ხმაურიანი და ფანტასტიკურად კოლორიტული კონტრმაგალითი); რომ საქართველოს ინტეგრაცია დასავლეთთან და თუნდაც ნატოში გაწევრება არავითარ შემთხვევაში არ ეწინააღმდეგება რუსი ხალხისა და სახელმწიფოს ჭეშმარიტ ინტერესებს და ა.შ; ასევე საჭირო იყო გაცილებით მეტის გაკეთება საქართველოში თავისუფლებისა და დემოკრატიის, კანონის უზენაესობის, ელიტარულ კორუფციასთან ბრძოლის საქმეში (აღვნიშნავთ, რომ აშშ-ის სახელმწიფო მდივნის კონდოლიზა რაისის მოხსენებაში, რომელშიც ქ-ნი რაისი ამტკიცებს, რომ საქართველო იმსახურებს ნატოში გაწევრების გეგმას, ნათქვამია, რომ საქართველოში აღზევებულია ელიტური კორუფცია. ისიც აღვნიშნოთ, რომ 2007 წლის 7 ნოემბერი ხელისუფლების მიერ დაშვებული უხეში შეცდომების შედეგი იყო და არა რეაქცია გატარებულ რეფორმებზე). არ უნდა მოგვსვლოდა ის სერიოზული შეცდომები, რაც ჩვენი არმიის შეიარაღების საქმეში მოგვივიდა.

ჩამოთვლილმა შეცდომებმა, ერთად აკუმულირებულმა, დიდი ზარალი მოგვაყენა ქვეყნის შიგნით და საკმარისზე მეტი არგუმენტი მისცა ჩვენ საწინააღმდეგოდ იმ ევროპელ პოლიტიკოსებს, ვისთვისაც საკუთარი ამწუთიერი პოლიტიკური და მატერიალური კეთილდღეობა (ზოგიერთვისთვის კი, ვინ იცის, მომავალში „გაზპრომში“ მოღვაწეობის პერსპექტივაც) უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე რუსეთთან ურთიერთობის გაფუჭება თავისუფლებისა და დემოკრატიის ფასეულობების დაცვის გამო. აღვნიშნეთ, რომ „უშეცდომო“ გზა მხოლოდ თეორიულად არსებობდა. საქმე ისაა, რომ საქართველოში არ არსებობდა და არც დღეს არსებობს ისეთი პოლიტიკური ძალა, რომელიც მხარს დაუჭერდა ასეთ უშეცდომო გზას, ისეთ ზეწოლას მოახდენდა ხელისუფლებაზე, რომ ხელისუფლება ვეღარ გაბედავდა შეცდომების დაშვებას და ა.შ.. პოლიტიკური ძალა კი არა, თითზე ჩამოსათვლელია პოლიტოლოგები, ვისაც უნარი შესწევს მეტ-ნაკლებად ადეკვატურად გაანალიზოს ვითარება. როგორც ჩანს, სულ ცოტა, ერთმა თაობამ უნდა ჩაიაროს, ვიდრე საქართველოში პროფესიონალი პოლიტიკოსები და დიპლომატები გამოჩნდებიან.

ისიც უნდა გვესმოდეს, რომ რაოდენ გრძელიც არ უნდა იყოს ჩვენი ხელისუფლების მიერ დაშვებული შეცდომების სია, ეს შეცდომები არანაირად, არც პოლიტიკურად და არც წმინდა ადამიანური თვალსაზრისით, არ ამართლებს პუტინისა და მისი თანამოაზრეების დანაშაულებრივ და შეურაცხად ქმედებას.

## რატომ მოგვივიდა ეს ყველაფერი?

# „ვიდრე ჰხვალ, საქართველო?“



რაციონალური მსჯელობის წესითა და რიგით, ჩვენი არმიის შეყვანაც ცხინვალში მძიმე შეცდომად უნდა ჩაგვეთვალა. ჩვენ მიმართ ყველაზე უფრო კარგად განწყობილი პოლიტიკოსებიც და ექსპერტებიც მთელ მსოფლიოში, უკეთეს შემთხვევაში იმას აღნიშნავენ, რომ საქართველოს ხელისუფლება წამოეგო რუსეთის პროვოკაციას, როცა ცეცხლი დაუშინა ცხინვალს და შემდეგ თავისი ჯარი შეიყვანა ქალაქში (საკმაოდ ბევრი კი ამას უმძიმეს შეცდომად გვითვლის). პრეზიდენტი ბუშიც კი რუსეთის აგრესიის პირველ დღეებში მხოლოდ რუსეთის არაპროპორციულად ხისტ პასუხზე საუბრობდა. რუსეთის ხელისუფლება კი მტკიცედ დგას იმ პოზიციაზე, რომ „ქართველების მიერ წამოწყებულმა გენოციდმა სამხრეთ ოსეთში აიძულა ისინი, გაეკეთებინათ ყველაფერი, რაც აქამდე გააკეთეს და ახლაც აკეთებენ“.

აი, სწორედ აქ ვაწყდებით იმ გარემოებას, რომ მხოლოდ რაციონალური მსჯელობითა და ლოგიკით შეუძლებელია ადამიანთა მოქმედებისა და ამ მოქმედებების შესაძლო შედეგების შეფასება. წარმოვიდგინოთ, რომ რუსეთის ხელისუფლებას სამხედრო ოპერაციის მსვლელობისას დაეკავებინა ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორია, აელო კოდორის ხეობა და ამაზე გაჩერებულიყო, სამხედრო მოქმედებების დროს კი არც ერთხელ არ გასცდენოდა კონფლიქტის რეგიონებს. რა იქნებოდა მაშინ? პასუხი აშკარაა: მსოფლიოში არსებული კონიუნქტურის გათვალისწინებით, საქართველო არ მიიღებდა იმ პოლიტიკური მხარდაჭერის მცირე ნაწილსაც კი, რასაც დღეს ღებულობს. მსოფლიო დასჯერდებოდა კრიტიკულ შენიშვნებს რუსეთის მიმართ მისი არაპროპორციული, ჭარბად ხისტი მოქმედების გამო.

მხოლოდ რუსეთის ხელისუფლების სრულიად არაადეკვატურმა, პირდაპირ რომ ვთქვათ, გიჟურმა მოქმედებამ (რუსეთის წამყვან პოლიტოლოგთა აზრით, მომართულმა რუსეთის სახელმწიფოს გარდაუვალი მოსპობისა და კატასტროფისკენ), გამოიწვია რუსეთის სრული იზოლაცია, საქართველოს კი ამ ეტაპზე პოლიტიკური გამარჯვება მოუტანა.

ჩაიდენდა თუ არა რუსეთის ხელისუფლება ამ სიგიჟეს, ჩვენ რომ ჯარები არ შეგვეყვანა ცხინვალში? ამაზე ზუსტი პასუხის გაცემა შეუძლებელია, თუმცა ნამდვილად არ არის გამორიცხული, რომ სწორედ ქართული არმიის მოქმედებამ აფიქრებინა რუსეთის ხელისუფლებას, რომ ახლა უკვე საკმარისი საფუძველი აქვს, იმოქმედოს კოსოვოსა და ერაყის „ანალოგიური“ სცენარით, რაც ჩეკისტების წარმოდგენით ის არის, რომ დაბომბონ, დაანგრიონ, დააზიანონ და გაძარცვონ განურჩევლად ყველაფერი, მსოფლიოს კი გამოუცხადონ, რომ ტერმინი „თანმდევი მსხვერპლი“ ისევე, როგორც ტერმინი რეჟიმის შეცვლა“, სხვა სახელმწიფოს მოგონილია და არა მათი.

რაც შეეხება „რეჟიმის ცვლილებას“. რაციონალურად მოაზროვნე ადამიანს შეიძლება იმისი დაჯერებაც გაუჭირდეს, რომ პუტინი და მისი გარემოცვა დარწმუნებულები იყვნენ იმაში, რომ სამხედრო მოქმედებების დაწყებიდან სულ მალე საქართველოში დაიწყებოდა მასობრივი არეულობა, პოლიტიკური გამოსვლები არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ, რაც მალევე დასრულდებოდა ხელისუფლების დამხობითა და (ცხადია რუსეთის დახმარებით) პრორუსულად განწყობილი პოლიტიკური ძალების მოსვლით ხელისუფლებაში. ვისაც ეს ეეჭვება, გაიხსენოს, რამდენჯერ მიულოცა პუტინმა იანუკოვიჩს უკრაინის პრეზიდენტად არჩევა, როგორ მოქმედებდნენ თვით პუტინი და მისი გარემოცვა ხაჯიმბას რომ „სვამდნენ“ აფხაზეთის პრეზიდენტად, როგორ აფინანსებდნენ ჩეკისტები იგორ გიორგაძის „მომხრეების“ სრულიად მარაზმატულ დემონსტრაციებს იმ რწმენით, რომ ისინი საერთო-სახალხო აჯანყებაში გადაიზრდებოდა და მრავალი სხვა, რბილად რომ ვთქვათ, კურიოზული შემთხვევა.

ჩვენს შეცდომებზე მსჯელობა დავასრულოთ იმით, რომ როგორიც არ უნდა ყოფილიყო ეს შეცდომები და რა შეფასებაც არ უნდა მივცეთ მათ, ფაქტია: თავისი უაზრო და გიჟური მოქმედებით, მასშტაბური და მძიმე დანაშაულით, რუსეთის ხელისუფლებამ ერთი მოსმით წაშალა ისინი პოლიტიკური დაფიდან. ახლა ამ დაფაზე მხოლოდ რუსეთის საზარელი მოქმედებაა დაფიქსირებული მთელი მსოფლიოს დასანახად და რუსეთის ხელისუფლება, თითქოს აზარტში შესული და წერას ატანილი, უმატებს და უმატებს მორიგ უაზრო ქმედებებს. რად ღირს თუნდაც კარიბის ზღვის აუზში ბომბდამშენების გაშვება და სამხედრო ხომალდების გაგზავნის დაპირება. ეს ყველაფერი იმდენად აღემატება რუსეთის რეალურ შესაძლებლობებს, რომ მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოების მხრიდან მხოლოდ დაცინვას იწვევს. ამავდროულად, საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციამ, ამ ტერიტორიების „დამოუკიდებელ სახელმწიფოებად“ გამოცხადების ინსცენირებამ და შემდეგ ამ „დამოუკიდებელ სახელმწიფოთა“ ცნობამ, ასევე რუსეთის ხელისუფლების მიერ ბოლო ერთ თვეში განხორციელებულმა არაერთმა ქმედებამ, დაარწმუნა მსოფლიო იმაში, რომ რუსეთს უნდა, არც მეტი არც ნაკლები, მსოფლიოში ახალი წესრიგის დამყარება სამხედრო ძალის გამოყენებით და რომ საქართველო შესაბამის რიგში, უბრალოდ, პირველი აღმოჩნდა. სწორედ ამ რეალობამ გამოიწვია უდიდესი აღშფოთება და შეშფოთება, რუსეთის იზოლაცია და ის ზეწოლა რუსეთზე, რომლის გაძლების უნარი ბევრჯერ აღემატება რუსეთის რეალურ ძალას.

როგორ ვიმოქმედოთ? პასუხი მარტივია: უნდა შევინარჩუნოთ სტაბილურობა: პოლიტიკური, ეკონომიკური, ფინანსური, სოციალური. ეს ნიშნავს, რომ არ უნდა ავყვეთ პროვოკაციულ მოწოდებებს ხელსუფლების ვადამდელი შეცვლის თაობაზე. უნდა გვახსოვდეს, რომ არასტაბილურობის მცირე ნიშნებიც დაგვაკარგვინებს დასავლეთის ნდობას, შეგვიმცირებს დასავლეთის მხარდაჭერას, რაც, ცხადია, ჩვენთვის უმძიმეს შედეგებს გამოიწვევს. ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ დღეს ჩვენში არსებული ყველა პოლიტიკური ძალა შეუდარებლად სუსტია და უუნარო, ვიდრე არსებული ხელისუფლება და არ სარგებლობს ნდობით დასავლეთის მხრიდან. ამავდროულად ჩვენს ხელისუფლებას უნდა ესმოდეს, რომ საკუთარი ძალაუფლების დამატებითი კონსოლიდაციის ნებისმიერი მცდელობა საპირისპირო შედეგებს გამოიწვევს. ხელისუფლება უნდა გათავისუფლდეს „დამღუპველი თვითდაჯერებულობისგან“, მან უნდა შეძლოს უარის თქმა მართვის პრაქტიკულად ერთპიროვნულ, ვოლუნტარისტულიმპულსურ სტილზე, რაოდენ რთული არ უნდა იყოს ეს მისთვის. მას უნდა ესმოდეს, რომ მეტი თავისუფლება, მეტი დემოკრატია, გამჭვირვალეობა, თავისუფალი ტელევიზია, ძალაუფლების მაქსიმალური დელეგირება შესაბამის ინსტიტუტებში, კანონის უზენაესობის დაცვა, ნამდვილი ბრძოლა ელიტარულ კორუფციასთან არის სტაბილურობისა და მათ შორის საქართველოს ხელისუფლების დაცულობის გარანტი. თუ ასეთი გზით ვივლით, მაშინ გამართლდება ჩვენი მეგობარი უცხოელი პოლიტოლოგის სიტყვები: საქართველოში 2 სექტემბერს გამართული ცოცხალი ჯაჭვი პუტინის ტანკებზე უფრო ძლიერიაო.

მოთმინებით უნდა აღვივსოთ. ისეთ ფაზაში შევედით, რომელშიც ჩვენი პრობლემების მოგვარების რაიმე კონკრეტული ვადების გამოცხადება და მით უფრო დიპლომატიური გზების გარდა „სხვა გზებზე“ ფიქრი და უბრალო ხსენებაც კი მხოლოდ სავალალო შედეგების მომტანია. შევურიგდებით ჩვენს აფხაზებსა და ოსებს, დევნილები უსაფრთხოდ და ღირსეულად დაბრუნდებიან თავიანთ სახლებში; სრულიად მშვიდობიანი გზით, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და მსოფლიოს უძლიერესი სახელმწიფოების აქტიური მონაწილეობით აღდგება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა. ეს ასე იქნება, ვინაიდან ჩვენი საუკუნის „ახალი წესრიგი“ გამორიცხავს მოვლენათა სხვა განვითარებას. მაგრამ თავად არ უნდა შევუშალოთ ხელი ამ პროცესებს, ჩვენი უაზრო და კონტრპროდუქტიული პროაქტიური მოქმედებებითა და ყმაწვილური „გულის მოუთმენლობით“. ჩვენთვის მაგალითი უნდა იყოს მეოცე საუკუნის დიდი მოღვაწე, დასავლეთ გერმანიის კანცლერი კონრად ადენაუერი, რომელმაც ურთულეს პირობებში, ფაქტობრივად, უმცირესობაში მყოფმა, შეძლო გერმანიის გაერთიანების სტალინის პროვოკაციული გეგმის უგულებელყოფა და აუხსნა გერმანელ ხალხს, რომ გერმანია აუცილებლად გაერთიანდება, ოღონდ სულ სხვა გზით და სხვა დროს.

„ჯი-ეიჩ-ენის“
ანალიტიკური ჯგუფი.

◉ ინფორმაცია

## ომის შემდეგ რუსეთმა 39 მილიარდი დაკარგა

რუსეთის საერთაშორისო სავალუტო რეზერვის ვარდნა გრძელდება. ამის შესახებ ინფორმაციას რუსული გამოცემა „ნოვიე რეგიონი“ აქვეყნებს. გამოცემის ინფორმაციით, 18 სექტემბერს რუსეთის ბანკის საგარეო და საზოგადოებრივი კავშირების დეპარტამენტმა ინფორმაცია გაავრცელა, რომლის თანახმად რუსეთის საერთაშორისო სავალუტო რეზერვის მაჩვენებელმა 2008 წლის 5 სექტემბრისათვის 573,6 მლრდ აშშ დოლარი, ხოლო 12 სექტემბრისათვის — 560,3 მლრდ აშშ დოლარი შედგენდა. ე.ი. ერთი კვირის განმავლობაში რუსეთმა 13,3 მლრდ. აშშ დოლარი დაკარგა.

ექსპერტები რუსეთის საერთაშორისო სავალუტო რეზერვის ასეთ დიდ ვარდნას, სავალუტო და ფასიანი ქაღალდების ბაზარზე მდგომარეობის სტაბილიზაციის მიზნით ცენტრალური ბანკის ინტერვენციას უკავშირებენ.

სექტემბრის დასაწყისში რუსულმა რუბლმა ევროსთან და დოლართან მიმართებაში საგრძნობლად დაიწია. ექსპერტები მაშინ აღნიშნავდნენ, რომ რუბლის კურსის დაწევა რუსეთიდან უცხოური ინვესტიციების გადინებით იყო გამოწვეული, რაც სამხრეთ ოსეთში ომის დაწყებას მოჰყვა.

15 აგვისტოს მდგომარეობით, ომის დაწყებიდან ერთი კვირის შემდეგ რუსეთმა 16,4 მლრდ აშშ დოლარი დაკარგა, ხოლო 25 აგვისტოდან 5 სექტემბრის ჩათვლით რეზერვებმა 8,9 მლრდ რუბლით დაიწია.

ერთ თვეში რუსეთის რეზერვებმა 38,6 მლრდ დოლარამდე დაიწია.

ჯი-ეიჩ-ენი

◉ მწარე რეალობა

# ძმა – ძმისთვისო... სუფრასთან

**მატარებელი, გეგონება ბონდის ხის აქვს გასავლელი, ფრთხილად შედგა გრაკლის რკინიგზის ხიდზე, რომელიც აგრესორის მსახვრალმა ხელმა ომის დროსააფეთქა. მშენებლები დანგრეულ ხიდს მიადგნენ, სამშენებლო მასალა, მექანიზმები მოზიდეს და საქმეს შეუდგნენ. ძველი, გაუქმებული ხიდი, რომლითაც სოფლელებს ნახირი დაუდიოდათ მტკვრისპირა გაღმა-გამოღმა საძოვრებზე, დროებით კვლავ მწყობრში ჩააყენეს და მატარებლები შემოვლითი გზით მოძრაობდნენ.**

და აი, ხიდი გაიხსნა. ჩვენ პირველი მგზავრები ვართ. მშენებლები ლიანდაგის გაყოლებით მიწაყრილზე დგანან და ხელს გვიქნევენ, გვაცილებენ.

– ო კეი, ყველაფერი რიგზეა! – მთელი ვაგონი მოიარა ღია ფანჯარაში შემოჭრილმა ყვითელკომბინეზონიანი მუშის შეძახილმა.

მატარებელი მეტეხის მინდვრებში გავიდა და აჰა, კოწახურის ხევიც!

– ვითომ ყველაფერი რიგზეა? – იკითხა ჭარმაგმა კაცმა, პიჯაკზე რომ „სახალხო განათლების წარჩინებულის" სამკერდე ნიშანი დაემაგრებინა. – ორ ტანკს გაიყვანენ და ოთხი შემოჰყავთ. ევროპას კი იმ ორს უჩვენებენ. ეს პატიოსანი ხალხი ვერ მიმხვდარა ამათ ვირეშმაკობას.

მეზობლად ახალგაზრდა ყმაწვილები, ყუთებით რომ ხილი და პამიდორი მიჰქონდათ თბილისში, კარტს თამაშობდნენ. ვაგონის ბოლოში ვიღაცებს მუხლებზე ჩემოდანი დაედოთ – სახელდახელო მაგიდა გაეშალათ.

ქორწილიდან გამოტანებულ პურ-ღვინოს სულ სხვა ეშხი აქვს, – ხელებს იფშვნეტდა ჩია ტანის მამაკაცი.

– უყურე ერთი ამ თავქეიფა ხალხს, – წყენით თქვა სახალხო განათლების წარმომადგენელმა, – ქვეყანა თავზე ჩამოგვექცა, ესენი კი დროსტარებაში არიან. ამათი შემხედვარე გვეშველება რამე?!

– ამ გახსენებაზე მინდა გიამბოთ, – დაიწყო სახელაძლაჟა კაცმა, რომელსაც შინ, კუსტარულად დამზადებული სკამები გასაყიდად თბილისში ჰქონდა წაღებული და ახლა მარელისში ბრუნდებოდა. – ერთი მეზობელი მყავს...

მაგრამ მე მისთვის აღარ მომისმენია. ფიქრებმა წამიღო და ომის დღეების თბილისი გამახსენდა, რომელსაც მტერი წუთი-წუთზე აღებას უპირებდა და მერე, როგორც იყო, გადაიფიქრეს. მაგრამ მაშინ ამის შესახებ არაფერი ვიცოდი.

სკოლისდროინდელი მეგობარი შემხვდა – ოცდათი წელი ერთმანეთი არ გვინახავს, შევიდეთ სადმე მყუდროში, თითო ჭიქა ავწიოთ. საღამო ხანი იყო. წავედით.

თბილისი დუღდა და გადმოდიოდა. აქედან სამოცდაათიოდე კილომეტრში, ქართლში, ჯოჯოხეთი ტრიალებდა. არ იმჩნევდა, თუ რა იყო, საამისო არაფერი ეტყობოდა დედაქალაქს, – ცეკვავდა, მხიარულობდა, მღეროდა და ღრეობდა. ტევა არ იყო რესტორან-კაფეებში, კაზინოებში, პოკერ-კლუბებში.

თბილისმა რომ გართობა და დროსტარება იცის...

ერთი პროლეტარული „წარმოშობის" რესტორანში (ადრე აქ მუშათა სასადილო იყოძ ადგილი გამოგვინახეს. მეზობლად მკერდგაღელილი მამაკაცებისა და დეკოლტემოღლიავებული დედაკაცების კამპანია ქეიფობდა. იყო სიცილ-ტკარცალი და ჭიქების ჯახუნი. ფიქრი გორისკენ გამექცა. იქ ახლა სახლებს აფეთქებენ, აქ კი შამპანურების საცობთა ბათქაბუთქია, აქ მწვადი იწვის, ქართლში – ყანები და ტყეები.

თვალწინ დამიდგა ნაცნობი პენსიონერი ქალბატონი. იგი ყოველდღე მოდიოდა სტალინის მოედანზე, ან სასპორტო სკოლის წინ, ეგებ ჰუმანიტარული დახმარება შემხვდესო, მაგრამ რიგში ჩადგომისა ეშინოდა – ვაითუ გავეშებულმა ბრბომ გამჭყლიტოსო. რა თქმა უნდა, ვიღაც-ვიღაცებს აინტერესებდათ ჰუმანიტარული დახმარების ასეთი მტაცებლური მეთოდით განაწილება. კარგად ხედავდა ამ ყველაფერს პენსიონერი ქალბატონი 40 წლის მუშაობის სტაჟით. შინ მას ლოგინად ჩავარდნილი 90 წლის დედა ელოდებოდა, 60 წელი ხალხის სამსახურში რომ გალია. დედა-შვილის 100 წლის სამუშაო სტაჟი! მაგრამ განა ეს შველის საქმეს? სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი დღესაც ხელცარიელი დაბრუნდება შინ. კიდევ ერთი შიმშილობის დღე...

მაგრამ აი, ვიღაც ყმაწვილი მოდის ჩემთან და დამხარების შეკვრას მაწვდის – ამან და ამან გამოგიგზავნაო, შეკვრაში ერთი პური და ორი ძეხვია. ამანათს ნაცნობ ქალბატონს გადავცემ და ისიც აჩქარებული ნაბიჯით მიდის შინ, რომ მშიერ და ავადმყოფ დედას ზღაპრული სადილი მიუტანოს. აქ კი, რესტორანში, ხორაგისგან მაგიდები იზნიქება, არავინაა მჭმელი – „სამკალი ბევრია, მაგრამ ცოტა არიან მომკალნი". ყველა ისეა გამძღარი, ზოგს ეძინება, ზოგსაც ასლოკინებს.

„– განსხვავებული სასმისი მომართვითო, – თამადამ. მოაქვთ. შამპანური ჩანჩქერივით ჩაჩხრიალებს უზარმაზარ ყანწში. თამადა წამოდგება და სუფრაზე სიჩუმე დაისადგურებს.

– ბატონი კახა ილოცება!

– თამადა სუფრაზე ღმერთია.

და ა. შ.

– ჩვენ აქ რომ ვმხიარულობთ, გგონიათ, რომ არ მახსოვს ქართლი და სამეგრელო, ზღვისპირეთი და სხვა ჩვენი კუთხეები? არა, ბატონებო! სწორედ ახლა, როცა რუსეთი ასე არაადეკვატურად შემოიჭრა საქართველოში, ყველაზე მეტად გვმართებს ერთობა და შეკავშირება. ძმა ძმისთვისო, შავი დღისთვისო, განა ჩვენი ანდაზა არ არის?! რამ ამაღებინა ხელში ამხელა ყანწი? განსაცდელში ჩავარდნილი ქართველი კაცის, ჩვენი ქვეყნის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობამ და იმის განცდამ, რომ მტლად უნდა დავედოთ ერთმანეთს. ძმაო, ძმითა ხარ ძლიერი! – კიდევ ერთი ლოზუნგი ისროლა თამადამ, ყანწი ბურთივით მუცელზე შემოიდო და გამოცლას შეუდგა. შუა გზაზე შორიდან მომავალი მგზავრივით შეისვენა, თანამეინახეებს გაეღიმა და სმა განაგრძო. მოულოდნელად ყანწი – ვინ ელოდა ამას! – ხელიდან გაუვარდა, ეს ზონზროხა კაცი ბუშტივით დაიჩუტა და იატაკზე დაეცა.

ატყდა წივილ-კივილი. შეწყდა მუსიკა და ცეკვები, აირია რესტორანი. ქალები იქაუროზა სწრაფად ტოვებდნენ. მოგრიალდა სასწრაფო დახმარება. თამადას ჯერ დიაგნოზი დაუსვეს – აღარ სუნთქავსო. შემდეგ რის წვალებით საკაცეზე გადაიტანეს. მალე იქაურობა დაცარიელდა.

– მოკვდა? – იკითხა ქალმა, წედან რომ სამბას ცეკვავდა.

– ასე თქვეს.

– რისგან მოკვდა?

– ძმის სიყვარულის მეტი რა მოკლავს ქართველ კაცს.

მე და ჩემი მეგობარი რესტორნიდან გამოვედით.

**გურამ ვაშაკიძე**

◉ სახალხო დამცველი

# დევნილი მოსახლეობა და სტუდენტები შეღავათებით ისარგებლებენ



**საომარი მოქმედებების შემდეგ, საქართველოს სახალხო დამცველს მასობრივად მიმართავდა შიდა ქართლიდან დევნილი მოსახლეობა საბანკო კრედიტებთან დაკავშირებული პრობლემების გამო. ასევე, პრობლემის წინაშე აღმოჩნდნენ ის სტუდენტებიც, რომლებიც ვერ შეძლებენ სასწავლო დაწესებულებასთან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას.**

თითოეული დევნილის დასახმარებლად და მათი ინფორმირებისთვის საქართველოს სახალხო დამცველმა სოზარ სუბარმა საქართველოს პრემიერ-მინისტრს ვლადიმერ გურგენიძეს და საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელს დავით ამაღლობელს მიმართა, არსებობს თუ არა ერთიანი პოზიცია საქართველოს კომერციულ ბანკებში დევნილების მიერ კრედიტების გადახდის გამო.

სოზარ სუბარმა ასევე კითხვით მიმართა განათლებისა და მეცნიერების მინისტრს გია ნოდიას, იმსჯელეს თუ არა სამინისტროში დევნილ მოსახლეობაზე შეღავათების გავრცელებაზე. იგულისხმებოდნენ სტუდენტები, რომლებიც სწავლობენ დამოუკიდებელ უნივერსიტეტში და სასწავლო თანხის გადახდას საკუთარი სახსრებით უზრუნველყოფენ. საქართველოს სახალხო დამცველს აინტერესებდა, რა ბედი ეწევათ იმ სტუდენტებს, რომლებიც წლეულს ჩაირიცხებიან უმაღლეს სასწავლებლებში და ვერ მოიპოვეს სახელმწიფო დაფინანსების სუბსიდია. რა შეღავათები დაწესდება მათთვის?

სოზარ სუბარის მიმართვა უყურადღებოდ არ დატოვა ხელისუფლებამ. პრემიერ-მინისტრმა ლადო გურგენიძემ სახალხო დამცველს შეატყობინა, რომ საქართველოს ბანკების ასოციაციას რეკომენდაცია მისცა – კომერციულ ბანკებთან ერთად იმსჯელოს და შეიმუშაოს ერთობლივი პოზიცია დევნილი მოსახლეობისთვის, რათა მათ კრედიტი დაფარონ და შეღავათებით ისარგებლონ.

შეღავათებით ისარგებლებენ, ასევე დევნილი სტუდენტები, რომელთაც საომარი მოქმედებების გამო სრულად ან ნაწილობრივ გაუნადგურდათ ქონება, ოჯახის წევრებმა კი სამუშაო ადგილები დაკარგეს და ბუნდოვანია სამომავლო შემოსავლის წყარო. ეს სტუდენტები, ბუნებრივია, ვეღარ შეძლებენ უმაღლეს სასწავლებლებთან დადებული ხელშეკრულებით ნაკისრი მოვალეობების შესრულებას და სასწავლო თანხის გადახდას.

სახალხო დამცველს გამოეხმაურნენ განათლების სამინისტროდან და აცნობეს, რომ სამინისტროში მოქმედებს სტუდენტთა დაფინანსების სოციალური პროგრამა, რომელიც გარკვეული კატეგორიის სტუდენტთა დაფინანსებას ითვალისწინებს. მათ შორის არის კონფლიქტის ზონის მოსახლეობაც.

საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტმა (სდასუმძ აგვისოს მოვლენების გამო სასწავლო გადასახადიდან გაათავისუფლა სოფელ კარალეთის მკვიდრი სტუდენტი. აღსანიშნავია, რომ წლების განმავლობაში უნივერსიტეტში შეღავათებით სარგებლობენ აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან დევნილი სტუდენტები.

შეღავათებით ისარგებლებენ ის მოსწავლეები, რომლებიც „მცირე აკადემიასთან" არსებულ სკოლა-ლიცეუმ „საუნჯეში" სწავლობენ. აკადემიის რექტორის მანანა მოხევიშვილის ცნობით, სასწავლებელი სრულ პასუხისმგებლობას იღებს საომარი მოქმედებების შედეგად დაზარალებული მოსწავლეებისა და სტუდენტების უფასო სწავლა-განათლებაზე.

**ნატა ნიბლაძე**

◉ მკვახე შეძახილი

# ასე ყველა როგორ გვერჩის

## „ჭინჭველაც ჩემი მტერია"?..

**ჭიანჭველობას როგორ ვაკადრებ ბუმბერაზ რუს მწერალს, მით უფრო ახალგარდაცვლილს („მკვდრებზე ან მხოლოდ კარგი, ან არაფერი"). უბრალოდ, ამ ამბავმა ბავშვობაში ნასწავლი „ბერუას ჩივილი" გამახსენა...**

ამბავი კი ისაა, რომ ახლახან ორმოცი გადაუხადეს განსვენებულს და ეს რუსეთული პრესის ფურცლებზეც ხმაურით გააკეთეს. ამ ხმაურში კი სამხრეთ ოსეთის „აკორდიც" გაურიეს.

თურმე ნუ იტყვით და, ალექსანდრ სოლჟენიცინს ბევრ რამესთან ერთად სამხრეთ ოსეთში ომიც უწინასწარმეტყველებია ჯერ კიდევ... 18 წლის წინათ! დიახ, გადაშალეთ მისი ნაშრომი „როგორ მოვაწყოთ რუსეთიო", გვეუბნებიან და ნახავთ, თუ 1990-ში, ჯერ კიდევ სსრ კავშირის ხანაში, რა გამაოგნებელი მოულოდნელობანი დაინახა დიდმა მწერალმა იმ მერმისში გახედვით, რაც დღეს ჩვენი აწმყო გამხდარაო. მიაქციეთ ყურადღება, თუ **რა** დააყენა პირველ ნომრად ასეთ მოულოდნელობათა ნუსხაშიო:

**„საქართველოს აგრე მოუთმენლად სწყურია ეროვნული დამოუკიდებლობა! არადა, უკვე დღეს აფხაზების შევიწროება, ოსების შევიწროება და სტალინის მიერ გადასახლებული მესხების შემოუშვებლობა ძველთაძველ სამშობლოში – ნუთუ სწორედ ეს არის ნანატრი ეროვნული თავისუფლება?"**

ეგეც არ უკმარია სწორუპოვარ წინასწარმეტყველს და 1992-შიც შეშფოთებით ულაპარაკია საქართველოზე სტანისლავ გოვორუხინისათვის პირველ არხზე მიცემულ ინტერვიუში...

ასე ყველა როგორ გადაგვკიდებია იმ დიდ რუსეთში, ასე ყველა დიდმპყრობელური და იმპერიული, ასე რუსულ-შოვინისტური როგორ არის... იმ ცხონებულმა ალექსანდრე ისაის ძემ ჩეჩნეთში რუსეთის ორი ომი თუ გამოიცნო და „დაინახა", 1990 წლისთვის ცხინვალის ომზე გაცილებით უფრო ადრე „გაჩაღებადი" და მანძილითაც უფრო ახლოს „მდგომი", ქართველთაგან აფხაზებისა და ოსების „შევიწროებაზე" ასე „კარგად" გაცნობიერებულმა, რუსეთისგან ჩეჩნეთის შევიწროება კი არა, ორჯერ მიწასთან გასწორება ვერ დაინახა?...

... რა მექნა ახლა, არ გამხსენებოდა ბერუას მოთქმა „მიწის პატრონიც მე მწიწკნის, ჭინჭველაც ჩემი მტერია?"..

**თამაზ ებანოიძე**

◉ ინფორმაცია

## ტრაგედია აჭარაში

**ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ლოსაურაში მეწყერის ჩამოწოლას მსხვერპლი მოჰყვა. დაიღუპა ჩავლეიშვილების ოჯახის ოთხი წევრი. გადარჩა მხოლოდ ოჯახის უფროსი, ბაბუა, ხოლო ერთი ქალიშვილი მძიმე ტრავმებით საავადმყოფოშია გადაყვანილი. ოჯახის ოთხი წევრი – მამა, დედა და ორი შვილი მიწის მასის ქვეშ მოჰყვა და მათი გადარჩენა შეუძლებელი გახდა.**

**რაც შეეხება ლოსაურაში მცხოვრებ დანარჩენ ოჯახებს, მათ მხოლოდ სახნავ-სათესი ნაკვეთები დაეტბორათ. რთული მდგომარეობაა სოფელ ყოროლისთავსა და სამებაში, თუმცა იქ მსხვერპლი არ არის. ხელვაჩაურის რაიონში ზარალის დამთვლელი კომისია სულ მალე შეიქმნება. შემთხვევის ადგილი უკვე მოინახულეს რაიონის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებმა.**

**რაც შეეხება ბათუმს, ძლიერი წვიმის შედეგად დატბორილია ბათუმის ქუჩები, ტრანსპორტს გადაადგილება უჭირს.**

ინტერპრესნიუსი



ყოველკვირეული ლიტერატურულ-პუბლიცისტური ჩანართი №127

# ელჩები საქართველოდან



**XVIII საუკუნის დასაწყისი – საქართველოს ქალაქებში ირანული გარნიზონები იდგა.**

*„არცერთს საუკუნეში არ ყოფილა საქართველოს მდგომარეობა ეგრეთ აწეწილი, გაჭირვებული და არეულ-დარეული, როგორც XVIII საუკუნეში – ასე მიაჩნდა* ***მიხეილ თამარაშვილს****, როცა საქართველოს ისტორიის ქრონიკებს წერდა – ვინ ჩამოთვლის ეგოდენ აღურაცხელ ომის, რომელიც გაუმართავს სპარსეთის უღმრთო და გალაღებულ ყეენებს თუ ოსმალეთის გამძვინვარებულ ფაშებს... ვინ წარმოიდგენს ეგოდენ შუღლს, მტრობას, ორგულობას, ძმის სისხლის ღვრას.. ბევრი ქართველი თავისი ნებით ჰსტოვებდა ქრისტიანობას და გადადიოდა მაჰმადიანობაზე.* ***ამას ჰყოფდნენ არა ფარულად და არც სპარსეთში, არამედ ცხადად, აქვე ტფილისში, ყველას წინაშე...“***

ქართველისთვის, **ტფილისში, „ყველას წინაშე“** გაშიშვლება ალბათ თავმოყვარეობის, ამ შემთხვევაში კი ქართველობის დაკარგვის ბოლო საფეხურია, რადგან მას ყოველთვის ურჩევნია სხვაგან, შორს, უცხო მხარეში იყოს „შიშველი“, ოღონდ აქ არა – „ყველას წინაშე“.

ეს იმასაც ნიშნავდა, რომ ქართველი ერი გაუსაძლის განსაცდელში იყო ჩავარდნილი.

**ვახტანგ მეექვსე,** რომელმაც მრავალი უშედეგო და უიღბლო წელი რუსეთის იმპერატორის წყალობის მოლოდინში გაატარა, ქვეყნის ხსნას ყიზილბაშ და ოსმალ დამპყრობელთაგან განთავისუფლებაში ხედავდა, თუმცა, არც შინაური აშლილობა, უკვე ერის თვისობრივად ქცეული ღალატი აძლევდა დამშვიდების საბაბს.

იმ პერიოდში ერთი ფრანგი მისიონერი წერდა: **„ქართველებს შეეძლოთ ბევრი უსიამოვნება მიეყენებინათ შაჰისთვის თუ გაერთიანდებოდნენ, მაგრამ შაჰმა იცის, თუ როგორ ჩაშალოს მათი ერთიანობა ისე, რომ ეს მის ინტერესებს მოემსახუროს“.**

* * *

სწორედ **„ფრანგთა“** ქვეყანაში გამგზავრებით დაიწყეს ქართველებმა ე. წ. ევროპული ტურნე.

ელჩობამ, რომელიც 1713 წელს, **სულხან-საბა ორბელიანის** ავტორიტეტის ქვეშ გაერთიანდა, ჩამოაყალიბა მემორანდუმი და საფრანგეთის ტახტს წარუდგინა.

ძნელი სათქმელია, რამდენად აინტერესებდა ევროპას, თუნდაც მეფე ლუდოვიკოს, საქართველოსთვის სასიცოცხლო პუნქტები, მაგრამ თავაზიანად და ყურადღებით იქნა მოსმენილი ის, რომ უნდა შეწყდეს ქართველთა დენაციონალიზაცია, გამაჰმადიანება, ყოველგვარი ძალადობა რელიგიურ მრწამსზე, კავკასიელი ტომები უნდა გაქრისტიანდნენ, რომ საქართველო უნდა გაერთიანდეს, მას „ასი ათასზე მეტი ცხენოსნის თუ ქვეითის შეყრა ძალუძს მტერთან დასაპირისპირებლად, რომ განსაკუთრებული საფრთხე ოდიშ-აფხაზეთის მხარეს დაემუქრა, სადაც კილასურიდან ენგურამდე ჩრდილოელები – აფსუები აპირებენ ჩასახლებას და ა. შ.

გარდა ამისა, ითხოვდნენ მატერიალურ დახმარებას 300 000 ეკიუს ვახტანგ მეფის გასათავისუფლებლად.

რომის პაპისადმი მიწერილ წერილშიც საბა ორბელიანი თანადგომას ითხოვდა: **„ოღონდ ის, ვინც ვინ აქ მართლმადიდებელნი არიან, ამათზე თქვენი ლოცვა და საქმითაც მოხმარება იყოს. ხილულის მტრებისგან დიდ ჭირში არიან.**

**ყოველთ ცოდვით უცოდვილესი ორბელისშვილი სულხან,**

**ყოფილი მონაზონი საბა“**

სულხან-საბას დიპლომატიური მისიის შედეგი: საფრანგეთის იმპერატორი არ დაინტერესდა კავკასიელთა რელიგიური მრწამსით, 300 000 ეკიუ, რასაც ქართველები ითხოვდნენ, არ გამოჰყო, არც ირანის მიერ დაპყრობილი ქვეყანა სცნეს იურიდიულად. ევროპული გარემო ასევე გულგრილი აღმოჩნდა საქართველოს გაერთიანებისა თუ სახელმწიფოებრივი ინტერესების მიმართ და საერთოდ, ვერ გაიგო რატომ მიმართავდნენ მას იმ საქმისთვის, რაც საფრანგეთის პრაქტიკული ინტერესების საგანი არ იყო.

მრავალი მჭვუნვარე ფიქრით, ბრუნდებოდა ევროპიდან სულხან-საბა ორბელიანი და ამ დიპლომატური მარცხის შემდეგ მისმა აღზრდილმა ვახტანგ მეექვსემ ორიენტაცია ჩრდილოეთისკენ აიღო. ეს იყო გამოუვალობის გამოსავალი და არც ახალი თემა გახლდათ ჩვენი ქვეყნის ისტორიისთვის. „ერთმორწმუნე ქვეყანას“ მფარველობისთვის და შემწეობისთვის სხვადასხვა დროს მიმართეს: კახეთის მეფეებმა: ალექსანდრე პირველმა (1492 წ), ალექსანდრე მეორემ (1587 წ), თეიმურაზ პირველმა (1619 წ.).... ხოლო რაც შეეხება შიდაპოლიტიკური ვითარების შეცვლას, ვახტანგ მეექვსემ, პირადული თვალსაზრისით, უძნელესი ნაბიჯი გადადგა: თავისი, ჯერ კიდევ 12 წლის შვილი – **თამარ ბაგრატიონი** მეფე თეიმურაზ მეორეს მიათხოვა. **ამ გზით დაუკავშირა ერთმანეთს ქართლისა და კახეთის სამეფო ოჯახები.**

იზრდებოდა თამარი და მისი პიროვნული ხიბლი უფრო და უფრო ახლოებდა ქართლსა და კახეთს...

ახალგაზრდა ქალის გონიერება და დიპლომატიური ნიჭი ძალიან მნიშვნელოვანი აღმოჩნდა იმდროინდელი საქართველოსთვის.

სპარსელებზე გამარჯვებული ოსმალები, რომელთაც დასავლეთ საქართველო ეპყრათ, აღმოსავლეთშიც გადავიდნენ. ქართლის ტახტზე აიყვანეს გამაჰმადიანებული იესე, რომელმაც ხელახლა დაიწყო ქართველი ხალხის სულიერების ნგრევა – ავრცელებდა მაჰმადიანობას, აგებდა მეჩეთებს.

ოსმალებმა უმძიმესი ხარკი დააწესეს. ქვეყანამ დაღმასვლა დაიწყო, მწიგნობარი და გონიერი მეფე, ქართული სტამბის დამაარსებელი ვახტანგ VI შემწეობისთვის ისევ „ერთმორწმუნე რუსეთში“ გაემგზავრა.

რუსთა ხელმწიფისაგან არაერთხელ მიღებული დაპირების და იმედის გაცრუების მიუხედავად, სხვა გზა არ რჩებოდა. **საქართველო მსოფლიოს პოლიტიკურ ორბიტაზე სრულიად მარტო და დაუცველი იყო.**

*ისტორიკოსი სიმონ ჯანაშია, წარსულის ფაქტებზე დაყრდნობით, რუსეთს არასაიმედო პოლიტიკურ პარტნიორად მიიჩნევს: „არა ვახტანგმა მიმართა დახმარებისთვის პეტრე I-ს, არამედ პეტრემ ჩაითრია ვახტანგი სპარსეთის ლაშქრობაში. არ არის სწორი მტკიცება, რომ თითქოს საქართველოს რუსული ჯარების დახმარების მიღება ვერ მოუხერხდა. პეტრე I-მა უმოწყალოდ დასტოვა თავისი კავკასიელი მოკავშირეები ბედის ანაბარა“.*

## რუსეთი საქართველოს ტერიტორიებს ანაწილებს

„მეფე ვახტანგი 40000-იანი ქართული ჯარითურთ იდგა და უცდიდა „ქრისტეს მოყვარე“ რუს ხელმწიფეს და ვერ გაეგო, თუ რატომ „შეიქმნა დაყოვნება ხელმწიფისა“...

1724 წლის 12 ივნისს ოსმალეთმა რუსეთთან ზავი დადო, რის შედეგადაც რუსეთის ხელმწიფე პეტრე დიდმა აღმოსავლეთი საქართველო ოსმალეთს დაუთმო, მიუხედავად იმისა, რომ ეს ქვეყანა არც იურიდიულად, არც ფაქტობრივად მას არ ეკუთვნოდა. რუსეთი საქართველოს ტერიტორიებს ყოველთვის საკუთარი შეხედულებებით ანაწილებდა და პარალელურად ქართველ დიდებულებთან ერთმორწმუნეობასა და მეგობრობაზე საუბრობდა...



**„რაცა ტანჯულა ეს ქვეყანა, ტანჯვად ეყოფა, მიეცი ძალა დავრდომილსა კვლავ აღდგომისა“**

**ილია**

ისტორიკოსი **მოსე ჯანაშვილი** იმ ეპოქას საქართველოსა და ქრისტიანობისთვის „უნუგეშოს“ უწოდებს და თვლის, რომ მაშინ ქვეყნის მაშველად მეფე **თეიმურაზ II** გამოჩნდა – **თამარ ბაგრატიონის** მეუღლე.

თეიმურაზ მეორემ მოწვია ქართლ-კახეთის დიდებულები. იმსჯელეს და ჩამოაყალიბეს საქართველოს შესაძლო გადარჩენის გეგმა. კონფრონტაციით მსვლელობას აზრი აღარ ჰქონდა. დიპლომატიური გზები იყო მოსაძებნი. ქვეყნის სასიცოცხლო ძალების მოკრებისთვის ნადირ-შაჰს ქართველებისთვის ხარკი უნდა მოეხსნა.

**ელჩის საპატიო მისია დედოფალს – თამარ ბაგრატიონს დააკისრეს.**

**თამარ ბატონიშვილი** – გონიერი, მჭევრმეტყველი და მშვენიერი ქალბატონი თავისი ამალით, მაშინ ავღანეთში გამაგრებული ნადირ-შაჰის წინაშე წარსდგა.

მისი მისიის შინაარსი ასეთი იყო: აღეწერა ქართლ-კახეთის გაჭირვებული მდგომარეობა, შეუძლებლობა იმისა, რომ მშიერმა ქართველებმა სპარსეთის ჯარი გამოკვებოს.

დიპლომატი ქალი არწმუნებდა, რომ ქართველი ხალხი, მეფე თუ დიდებულები შაჰის პიროვნული მოწინააღმდეგენი არ არიან, არამედ უკიდურესი სიღარიბის გამო არ შეუძლიათ ხარკის გაღება.

სპარსეთის მბრძანებელი დიდხანს და ყურადღებით უსმენდა **თამარ ბაგრატიონს** – საქართველოს ელჩს, ინტერესით უმზერდა იმ რჩეულ და დახვეწილ მანდილოსნებს, რომლებიც მის ამალაში იყვნენ და თანდათან პატივისცემით იმსჭვალებოდა.

**თამარ ბატონიშვილმა დიპლომატიის უმაღლესი ნიჭი გამოამჟღავნა, რაც მიულოდნელად მართლაც, უჩვეულო შედეგით დასრულდა: სპარსეთის შაჰმა, ალბათ პირველად მისი და მის წინაპართა მეფობაში, დაპყრობილ ქვეყანას გადასახადი მოუხსნა.**

დიდი იყო ქართველი ხალხის სიხარული.

1724 წელს, მას მერე, რაც ვახტანგ VI რუსეთში გაემგზავრა, ნადირ-შაჰმა თამარ ბატონიშვილი დაამტკიცა ქართლის მმართველად. სამი წლის მერე თამარმა ტახტი მეუღლეს – თეიმურაზ მეორეს გადაულოცა. კახეთის ტახტზე კი მისი ვაჟი – **ერეკლე II** ავიდა.

ქართლს და კახეთს ისევ ნათესაური კავშირი აერთიანებდა და აძლიერებდა. მამამ და შვილმა ქვეყნის შენება დაიწყეს.

თამარ ბაგრატიონს, საქართველოს ელჩს, მემატიანე ასე მოიხსენიებს: **„სადგური კეთილისა და საუნჯე სათნოებისა“.**

გარდაიცვალა 1744 წელს. არ მოესწრო იმ უმძიმეს დღეებს, როცა მისი მეუღლე თეიმურაზ მეორე იძულებით რუსეთს გაეშურა, ხოლო შვილი ერეკლე II (პატარა კახი) ქართლ-კახეთის მეფედ გამოცხადდა.

იგი ვერ მოესწრო **„დიდ ღალატს“,** როცა სამეგობროდ გაწვდილ ხელს რუსეთმა საქართველოს სახელმწიფოებრიობის მოსპობით უპასუხა.

თამარ ბაგრატიონმა ვერც შვილის დამარცხება ნახა თბილისის მისადგომებთან, როცა აღა-მაჰმად ხანმა დედაქალაქი აიღო. დედამ ვერ უწამლა, სალბუნი ვერ დაადო პატარა კახის ბრძოლებში მიღებულ სამასამდე ჭრილობას... ვერც შვილის სულიერი ტკივილები გაიზიარა, როცა **„უფრო ძლიერი და მტკიცე საქართველოს“ მოლოდინში ქართული სახელმწიფოებრიობა დაეცა.**

ასე იარეს საქართველოს გულნატკენმა ელჩებმა თამარ ბაგრატიონმა და საბა ორბელიანმა ავღანეთსა თუ ევროპაში... როგორც ჩანს, არ იყო სუსტი მათი დიპლომატია, უბრალოდ მისია ჰქონდათ ძალიან რთული...

მათ მერეც, იგივე თითქმის გადაუჭრელი პრობლემების წინაშე, არაერთხელ დადგება საქართველო და მისი დიპლომატიური მისია.



# ჩოხოსნების მისია

## ეროვნული ტანსაცმელი — ნოსტალგია თუ ანაქრონიზმი?

**ნაციონალურის და პიროვნულის ნიველირების ხანაში ტრადიციებს მხოლოდ მოვლენათა ზედაპირზე განიხილავენ, როცა ეროვნული ოდენ ეგზოტიკურის ნიშნით ხდება გასაგები და მისაღები.**

„ვიწრო ეთნოგრაფია" საშიშ ტენდენციად მიაჩნდა გრიგოლ რობაქიძეს, ეროვნულ ღირებულებათა სისტემის დასასრულად, რის შედეგადაც შესაძლოა, მხოლოდ „მუზეუმში დაცულ სიძველედ" გადაიქცეს საქართველო...

**ადამიანის ცხოვრების ისტორიულობის აღიარება წარსულიდან მოღწეულ და გამთლიანებულ, სრულყოფილ სახეს გულისხმობს და უპირველესად იმ რეალობას გამოხატავს, თუ რა სახით ყოფნას ცდილობს კონკრეტული ერი თუ ადამიანი, ანუ როგორია მისი ნამდვილი და არა ზედაპირული ბუნება.**

„რას მიქვიან შენი ქართული ლაპარაკი, რას მიქვიან შენი ქართული გული", — ეუბნება პეტერბურგთან მომავალ, ფრაკში გამოწყობილ ილია ჭავჭავაძეს მოხევე ლელთღუნია, „მითხარი, ტალავარ როგორი გაცვიაო"...

აქ „ტალავარში" (ტანსაცმელში) კონცეპტი იგულისხმება — **შინაგანის გარეგნულით გამოხატულება,** გარეგნული ფორმისა და იერის ჭეშმარიტ მნიშვნელობაზე მინიშნება.

ილიას „მგზავრის წერილებში" გაცხადებული მრწამსი შალვა ამირაჯიბის წაკითხვით ასეთია: ილია რომ სავსებით იმ ნიადაგზე დარჩენილიყო, რომელზეც მისი მოთხრობის გმირი, მოხევე იდგა, „ემსგავსებოდა განდისაც და შამილსაც. განდის, რადგან მას ინგლისელობა არ უნდოდა და შამილს, რადგან არც მას უნდოდა რუსობა"...

ევროპული იდეოლოგიის თუ ცივილიზაციის საუკეთესო მონაპოვართა შემოტანა და დამკვიდრება მხოლოდ გარეგნულის ტრანსფორმაციით არ ხდება და, რა თქმა უნდა, არც ურთიერთგამომრიცხაობის მკაცრი პათოსით.

ილიას და მოხევეს შეხვედრის მეტაფორული აზრი შემდგომ ათწლეულებშიც შეგვახსენებს თავს.

„ასეთი შეხვედრა იშვიათია და მხოლოდ ეპოქათა ზღვარზე ჩნდებიან".. (შ.ამირეჯიბი).



ეპოქათა ზღვარზე, XX საუკუნის დასაწყისშიც, ფასეულობათა საოცარი სისწრაფით გადაფასების ხანაში, ტიციან ტაბიძე, „ცისფერყანწელთა" სახელით, ამკვიდრებს თეორიას მხოლოდ იმ უცხოურის გადმონერგვის და გადმოტანის შესახებ, რომელიც ორგანულად შეერწყმება ქართულ ნიადაგს: „აშკარაა, წინა აზიაში ევროპა შემოაღებს კარებს და ამ დროს ჩვენ უნდა დავხვდეთ შეჭურვილნი ეროვნული შემეცნებით, ეროვნული კულტურის ყველა ფოლაქებშეკრული"...

**ცხადია, „ეროვნულ შემეცნებაში" ტრადიციაც იგულისხმება, ხოლო „ფოლაქებშეკრულობა" ერთგვარ შეუვალობას გამოხატავს უცხოეთთან და უცხოურის წინაშე. უცხოურ ფასეულობებთან მოწესრიგებულად, აკადემიურად და ამავე დროს, საკუთარი წარსულისა და ღირსების გათვალისწინებით შეხვედრას ნიშნავს.**

* * *

**„ჩოხა სულის სამოსია და არა მარტო სხეულის"**... — ბატონ **რეზო ესაძის** ამ უზუსტეს განმარტებას **„სრულიად საქართველოს ჩოხოსან რაინდთა დასის"** სულისკვეთებად წარმოვიდგენთ.

ვფიქრობთ, ჩვენი უტილიტარული დროების აჩქარებულ რიტმში სრულიად ბუნებრივია დაიბადოს ამგვარი კითხვა: დღეს როგორ და რა მიზნით შეიქმნა ჩოხოსან რაინდთა დასი.

**ეროვნული სამოსის ტარება, როგორც მრწამსის, დამოკიდებულების და მსოფლმხედველობის მანიფესტაცია, საკმაოდ რთული მისიაა და თავისი გარეგნული ეფექტისა და ბრწყინვალების მიღმა, რასაკვირველია, ზომიერების კურთხეულ გრძნობას, გემოვნებას, ურთიერთობის დიდ კულტურას და შესაბამის სულიერ მდგომარეობასაც გულისხმობს.**

საბჭოთა ეპოქაში ჩვენი თაობის სულიერ ფორმირებაზე უდიდესი გავლენა მოახდინა მუზეუმში დაცულმა და მერე ასლების სახით გამრავლებულმა უაღრესად შთამბეჭდავმა რელიკვიამ ე.წ. **„შავჩოხოსანთა"** ფოტომ, რომელიც 1921 წელსაა გადაღებული და **ვახტანგ კოტეტიშვილი, კონსტანტინე გამსახურდია, პავლე ინგოროყვა და ალექსანდრე აბაშელი** არიან აღბეჭდილნი.



რუსეთის მიერ ანექსირებულ, დამოუკიდებლობადაკარგულ სამშობლოს გლოვის ნიშნად, მათ შავ ჩოხებში ჩაცმულებს გაუვლიათ თბილისის ქუჩები და სამახსოვრო ფოტოსურათიც გადაუღიათ.

მათ სახეებსა და იერზე უდიდეს წუხილთან ერთად ეროვნული სიამაყის განცდა და პიროვნული ღირსება იხატება. ისინი, მშვილდივით მოზიდულნი, თითქოსდა დარაჯებივით დგანან საქართველოს სულიერების კარიბჭესთან... ეს ფოტო ათეული წლების მანძილზე თაობათა „სხვა ცნობიერების" გასაღები იყო...

**„შავი სიტყვა"** უწოდა თავის წერილს ვახტანგ კოტეტიშვილმა, სამშობლოზე გაუსაძლისი ფიქრებით შეძრულმა: „ბევრჯერ უნახავს საქართველოს სულის ჯალათი. ფიქრის ძაფიც ბევრჯერ გაუწყვეტიათ და მხოლოდ თავდაცვის ინსტინქტის ანაბრად დაუტოვებიათ... ჩვენ არ გვაცალეს ფიქრი..."

**შავი ფერი,** როგორც სიმბოლო, საქართველოში სხვა წლეებშიც მეორდება და ქართული სინამდვილის ყველაზე ტრაგიკულ ისტორიებს გამოხატავს...

1924 წელი. ჩანასახშივე განწირული აჯანყება. აჯანყება, თითქოს არა საბრძოლო ქმედება, არამედ იდეა... რომელშიც ფასეულია არა ტაქტიკური გამარჯვება, არამედ მისი ეროვნული, პოლიტიკური, მორალური შინაარსი.

სისხლის ნიაღვრები...

29 აგვისტოს, ღამით, აჯანყების ჩახშობის შემდეგ, ბოლშევიკები ქართული ინტელიგენციის ოჯახებში იჭრებიან და მოულოდნელად, გაუფრთხილებლად, ნამძინარევებს, საკუთარ ლოგინებში ხვრეტენ.

უმძიმესი სიჩუმე ჩამოწვა საქართველოში.

მეორე დღეს, 30 აგვისტოს, რუსთაველის პროსპექტზე **შავებში ჩაცმულმა ქართველმა** ქალების კოლონამ ნელი ნაბიჯით, დუმილით ჩაიარა...

1926 წელი. სრულიად საქართველოს მწერალთა ყრილობაზე, კათედრაზე ადის პავლე ინგოროყვა და ამბობს: — **„ნაციონალური სულისკვეთების განმტკიცებას ქართულ შემოქმედებით ინტელიგენციაში აქვს თავისი ახსნა. დაჩაგრული პატარა ერის ნაციონალიზმი — ეს არის თავდაცვის იარაღი".**



* * *

„რაოდენ სიმბოლურია, რომ ჩოხოსნობა, როგორც მოძრაობა, ყოველთვის მაშინ აზვირთდება ხოლმე, როცა განსაკუთრებით უჭირს ჩვენს სულიერებას", — წერს ჩოხოსანთა დასის თავმჯდომარე ბატონი **გოგი დოლიძე** და „ჩოხოსანთა მოძრაობის" ისტორიული სურათის აღდგენას ცდილობს...

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა **ილია მეორემ** საგანგებოდ ჩოხოსნებისთვის დაწერა ფიცი, რომელიც პირველად საჯაროდ გაჟღერდა საპატრიარქოს ეზოში, დასში ახალი წევრების მიღების ცერემონიალზე... არაჩვეულებრივი სანახაობა გახლდათ: ბატონი გოგი დოლიძე დინჯად, მკაფიოდ, მუხლების მიხედვით, კითხულობდა ჩოხოსანთა ფიცის ტექსტს, რასაც „ახალი ჩოხოსნები" გუნდურად იმეორებდნენ. ჰაერი იმუხტებოდა დიდებული სიტყვებით: **„ვარ საქართველოს შვილი"... „პატივს მივაგებ ჩვენს დიდ წინაპრებს და ვლოცულობ მათთვის"... და ა.შ.**

ჩოხოსანთა დასს ყველგან განსაკუთრებული ინტერესით და კეთილგანწყობით ხვდებიან... ისინი, პატრიარქის კურთხევის თანახმად, მთელ საქართველოს საერთო სულისკვეთებით აერთიანებენ. **ისინი საქართველოს რაინდული, დღეს უკვე გაფერმკრთალებული წარსულიდან მოსულ დესპანებს ჰგვანან...**

სხვადასხვა დროს რიტუალურად აღნიშნავენ საქართველოს ღირსსახსოვარ თარიღებს, აერთიანებენ თაობებს... **უცნაურია ის, რომ მათი მაღალი პათოსი „ჩვენი დღეების პროზას" რატომღაც დამღლელ ეკლექტივად ან ანაქრონიზმად არ ახლავს.**

უცნაურია ისიც, რომ ცოტა ხნის წინათ ვერც წარმოვიდგენდით ჩვენს თანამედროვე სინამდვილეში ამგვარი სახელდების საზოგადოების — **„სრულიად საქართველოს ჩოხოსან რაინდთა დასის"** რეალურ არსებობას... დღეს კი მათ გარეშე თითქოს წარმოუდგენელიცაა. ისინი თითქოს ბუნებრივად ჩაეწერნენ ჩვენი დროების ლანდშაფტში.

წლები გადის. იცვლება ჩვენი დამოკიდებულებები აღმოსავლურ თუ დასავლურ სამყაროსთან... როგორც ერთი ევროპულად ჩაცმული ფილოსოფოსი განმარტავდა, ისტორია ევროპას სჭირდება, როგორც კოსტიუმების შესანახი საცავი. **„ის ხშირად იცვლის ტანსაცმელს: რომანტიკულს, კლასიკურს, ქრისტიანულს, ფლამანდიურს, ბაროკის... ზოგჯერ ნაციონალურსაც კი... მაგრამ გამუდმებით წუხს, რომ არც ერთი არ უხდება, ყველაფერი მოძველებულია"...**

ის ფაქტი, რომ საქართველოში საუკუნეების წინანდელი სამოსი არათუ მოძველდა, არამედ მან რიტუალური, ამაღლებული, მორალის და ესთეტიკის შემრიგებელი ფუნქცია მიიღო, კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ჩვენს სამშობლოში „ცა და მიწა არასოდეს გაყრილან" (ტ. ტაბიძე) და ამ მიწაზე ღირებულებათა გრძნობა, ქვეცნობიერად მაინც, ყოველთვის იარსებებს.

ჩანართზე მუშაობდნენ
ნინო ხოფერია
და კახა ქორიძე

◉ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# საქართველოს დაყოფის საკითხი რუსეთმა საბოლოოდ და შეუცვლელად გადაწყვიტა

**რუსეთის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა კრემლის ერთ-ერთ უზარმაზარ დარბაზში ტელეკამერების წინაშე ხელი მოაწერა ხელშეკრულებას მეგობრობის შესახებ ქართულ ამბოხებულ რესპუბლიკებთან აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან.** ის შეეცადა თავისი ხმისთვის მიენიჭებინა სიმტკიცე ორივე რესპუბლიკის ლიდერების თანდასწრებით და განაცხადა, რომ რუსეთი მთელი ძალებით შეეცდება დაიცვას ორი მინი-სახელმწიფო ქართული „რევანშისტული“ ტენდენციებისგან.

დოკუმენტების ხელმოწერა მოხდა საქართველოში ნატოს გამსვლელი სხდომის მხოლოდ ერთი დღის გასვლის შემდეგ. იქ ნატოს გენერალურმა მდივანმა იააპ დე ჰოოპ სხეფერმა აღიარა თავისი პასუხისმგებლობა „ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისთვის“ და დაგმო სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის გამოყოფა. ევროკავშირი და ამერიკის შეერთებული შტატები ასევე არ არიან თანახმა საქართველოს დაყოფისა. ევროკავშირი ამბოხებულ რესპუბლიკებში სამოქალაქო მეთვალყურეების გაგზავნასაც კი აპირებს, რათა მათ თვალყური ადევნონ რუსეთის ჯარების გამოყვანას. ეს გეგმები მოსკოვმა ამჟამად გადახაზა.

ხელშეკრულებები ითვალისწინებს ერთობლივ ღონისძიებებს მშვიდობისა და შესაძლო აგრესიების თავიდან აცილების მიზნით. „ჩვენ ერთმანეთს გავუწევთ აუცილებელ მხარდაჭერას, მათ შორის, სამხედროსაც“, – თქვა მედვედევმა. არავის არ უნდა შეეპაროს ეჭვი იმაში, რომ რუსეთი არ დაუშვებს „ახალ სამხედრო ავანტიურას“. ამავე დროს მან მიუთითა საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის შესახებაც, რომელსაც მოსკოვი აკისრებს კავკასიაში ომის დაწყების პასუხისმგებლობას. გარდა სამხედრო დახმარებისა, რუსეთი ჰპირდება რესპუბლიკებს ფინანსურ ხელშეწყობასაც.

რამდენად ძვირი დაუჯდება საბოლოო ჯამში რუსეთს ეს ახალი მეგობრობა, ჯერჯერობით უცნობია. მხოლოდ სამხრეთ ოსეთს პრემიერ-მინისტრი ვლადიმერ პუტინი დაჰპირდა 350 მილიონ ევროს – პირველი პერიოდისთვის. ფული უნდა შემოვიდეს მიმდინარე ბიუჯეტიდან. მაგრამ პარლამენტში, რომელმაც უნდა მიიღოს ეს გადაწყვეტილება, ჯერჯერობით შესაბამისი წარდგენა არ შესულა. დახმარება გარკვეული თანხა დაგვიჯდება, აღიარებს რუსეთის ელჩი ნატოში დიმიტრი როგოზინი. მაგრამ სანამ სააკაშვილი ხელისუფლების სათავეშია, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს მხარი უნდა დავუჭიროთ, მიაჩნია მას.



როგოზინი გამოდის აგრეთვე თითოეულ ამ რესპუბლიკაში 3800 რუსი სამხედრო მოსამსახურის განთავსების მხარდაჭერით. ჯარები იქ გაიგზავნება ახალი სახელმწიფოების „მოწვევით“ და დარჩებიან გაურკვეველი ვადით. ეს არ ეწინააღმდეგება ექვსი პრინციპის გეგმას, რომელსაც 12 აგვისტოს მოაწერეს ხელი მედვედევმა და საფრანგეთის პრეზიდენტმა ნიკოლა სარკოზიმ, ამტკიცებს ელჩი. რუსეთმა შეასრულა თავისი ვალდებულებანი, რომლებიც ამ გეგმიდან გამომდინარეობს; რუსეთის გეგმების შესახებ სარკოზი ინფორმირებულია.

**ერიკ ბონზე,**
**ტომას ვიდე**

Handelsblatt



# კონდოლიზა რაისი: რუსეთი თავის თავს კუთხეში აქცევს

**კონდოლიზა რაისმა მოუწოდა მსოფლიო გაერთიანებას, არ წავიდეს დათმობაზე რუსეთთან, რომელიც „სულ უფრო ავტორიტარული სახლი და სულ უფრო აგრესიული ხდება უცხოეთში“, მაგრამ მხარი დაუჭიროს რუსეთის დემოკრატებს. თავისი მოქმედებით საქართველოში რუსეთმა თავად მოიქცია თავი იზოლაციაში, ხაზგასმით აღნიშნა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა.**

რუსეთი თავის ინტერვენციას საქართველოში ამართლებს სამხრეთ ოსეთის დაცვის აუცილებლობით ქართული ჯარებისგან. დასავლეთის ქვეყნებმა მკაცრად დაგმეს რუსეთის აგრესია საქართველოს წინააღმდეგ.

როგორც ამერიკის სახელმწიფო მდივნის წინასწარ მომზადებული გამოსვლის ტექსტიდან ჩანს, რაისმა დასცინა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარების გამო რუსეთს, აღნიშნა, რომ მოსკოვის მაგალითს მიბაძეს მხოლოდ ნიკარაგუამ და პალესტინის გასამხედროებულმა დაჯგუფება ჰამასმა.

„ის, რომ რუსეთმა მხარზე ხელი დაჰკრა დანიელ ორტეგას და ჰამასს, ძნელად რომ შეიძლება შეაფასო დიპლომატიურ ტრიუმფად“, – თქვა რაისმა.

ასევე გესლიანად შეაფასა მან რუსეთის ბომბდამშენების ვიზიტი ვენესუელაში: „დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი კავშირები მეზობლებთან, რომლებიც ისწრაფვიან გაიუმჯობესონ განათლება, ჯანმრთელობა, უზრუნველყონ თავიანთი მოქალაქეები სამუშაო ადგილით და საცხოვრებლით, – არავითარ შემთხვევაში არ დაზარალდება იმისაგან, რომ რამდენიმე მოძველებული ბომბდამშენი იმყოფებოდა ლათინური ამერიკის ერთ-ერთ უმცირეს ავტოკრატიაში“.

რაისმა აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს, „მიუხედავად ყოველივესი, არ აქვს განზრახული შეწყვიტოს კულტურული კავშირები რუსეთთან.

როგორც ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის პრეს-მდივანმა შონ მაკკორმაკმა როიტერის სააგენტოს აცნობა, რაისმა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრთან სერგეი ლავროვთან სატელეფონო საუბარში გააფრთხილა იგი მის მიერ მომზადებული სიტყვის შინაარსის შესახებ. „ისინი საკმაოდ დიდხანს საუბრობდნენ საქართველოზე“, – აღნიშნა მაკკორმაკმა.

„ჩვენ გავაგრძელებთ რუსი სტუდენტებისა და მასწავლებლების, მოსამართლეებისა და ჟურნალისტების, პროფკავშირული ლიდერებისა და დემოკრატიული რეფორმატორების სპონსორობას, რომლებიც აპირებენ ამერიკაში ჩამოსვლას. ჩვენ გავაგრძელებთ მხარდაჭერას ყველა იმ რუსისა, რომლებსაც თავისი დიდი ქვეყნისთვის თავისუფალი მომავალი სურს“, – აღნიშნა კონდოლიზა რაისმა თავის გამოსვლაში. კრემლი ეჭვით უყურებს პოლიტიკურ პარტიებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებიც დაფინანსებას უცხოეთიდან იღებენ, და უკანასკნელი წლების განმავლობაში მან მიიღო მთელი რიგი კანონები, რომლებიც ამკაცრებენ მათზე სახელმწიფო კონტროლს.

რაისმა უყურადღებოდ არ დატოვა რუსეთში პოლიტიკური ავტორიტარიზმის გაძლიერების ფაქტიც. მან აღნიშნა, რომ უკანასკნელი წლების განმავლობაში რუსეთში ადგილი ჰქონდა: „ნავთობისა და გაზის გამოყენებას პოლიტიკური ზემოქმედების ინსტრუმენტად, ქვეყნის ევროპის ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების შესახებ ხელშეკრულებაში ცალმხრივ მონაწილეობას, დაშინებას ბირთვული იარაღით, იმ ქვეყნებისა და დაჯგუფებებისადმი იარაღის მიყიდვას, რომლებიც საფრთხეს უქმნიან საერთაშორისო უშიშროებას, აგრეთვე რუსი ჟურნალისტებისა და დისიდენტების დევნას და კიდევ ბევრ სხვა რამეს, რაც კიდევ უფრო უარესია“.

რაისი გამოვიდა წინადადებით რუსეთის ხელმძღვანელობის მიმართ. „ჩვენი სტრატეგიული მიზანია, რომ მკაფიოდ ვაცნობოთ რუსეთის ლიდერებს, რომ მათ მიერ გაკეთებული არჩევანი რუსეთს გამოუვალ მდგომარეობაში აყენებს – ეს არის ნებაყოფლობითი იზოლაციისა და მსოფლიოში თავისი მნიშვნელობის დაკარგვის გზა“, – აღნიშნა ამერიკის საგარეოპოლიტიკური უწყების ხელმძღვანელმა.

რაისმა აღნიშნა, რომ მისი მოქმედების გამო რუსეთის შესვლა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში კითხვის ნიშნის ქვეშაა. „და იგივე შეიძლება ითქვას ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციაში მისი შესვლის მცდელობასთან დაკავშირებით“, – აღნიშნა მან. რაისმა განსაკუთრებით აღნიშნა, რომ „რუსეთის ხელმძღვანელებს არ შეუძლიათ განახორციელონ მათი ომის მთავარი მიზანი – საქართველოს მთავრობის გადაყენება“.

უკანასკნელი დროის განმავლობაში ამერიკელი დიპლომატები აღნიშნავდნენ, რომ კატასტროფული ჩავარდნა რუსეთის საფონდო ბაზრებზე – ეს რუსეთის იზოლაციის ერთ-ერთი შედეგია.

რუსეთს არაერთგზის გამოუთქვამს თავისი უკმაყოფილება ნატოს გაფართოების პროცესთან დაკავშირებით აღმოსავლეთის მიმართულებით. აპრილში ნატომ მტკიცე დაპირება მისცა საქართველოსა და უკრაინას ალიანსში მიღებაზე, თუმცა გაურკვეველი დროის პერსპექტივით.

ბევრი დასავლელი კომენტატორი მიიჩნევს, რომ რუსეთის ერთ-ერთი მიზანი საქართველოს წინააღმდეგ ომში იყო ის, რომ წაართვას ნატოს საშუალება ამ რეგიონში გაფართოებისთვის, თუმცა რუსეთის ლიდერები ამჯობინებენ ამის შესახებ პირდაპირ არ ილაპარაკონ.

BBC RUSSIAN.com

# ნატომ არ უნდა იჩქაროს უკრაინისა და საქართველოს მიღება

**ბრიტანეთის ერთ-ერთმა წამყვანმა ანალიტიკურმა ინსტიტუტმა განაცხადა, რომ საქართველო და უკრაინა არ უნდა იქნენ მიღებული ნატოში.**

„ჩრდილოატლანტიკური ალიანსის შემდგომი გაფართოება მოცემულ ეტაპზე სტრატეგიული შეცდომა იქნებოდა, – განაცხადა ჯონ ჩიპმანმა, სტრატეგიული კვლევების საერთაშორისო ინსტიტუტის ხელმძღვანელმა. – ნატოში უკრაინისა და საქართველოს დაჩქარებულ მიღებას არ აქვს საფუძველი. არის სერიოზული მიზეზები იმისათვის, რომ გაკეთდეს პაუზა“.

ამ განცხადების შესახებ ითქვა საერთაშორისო პოლიტიკის ყოველწლიური მიმოხილვის წარდგენის დროს, რომელსაც ამზადებენ ამ ინსტიტუტის ექსპერტები.

აპრილში ბუქარესტის ნატოს სამიტზე მიიღეს გადაწყვეტილება ალიანსში უკრაინისა და საქართველოს მიღების შესახებ, თუმცა არ იყო დადგენილი არავითარი ვადები.

სტრატეგიული კვლევების საერთაშორისო ინსტიტუტის ხელმძღვანელის განცხადება მოწმობს იმ დავების შესახებ, რომლებიც წარმოიშვა დასავლეთში რუსეთსა და საქართველოს შორის შეიარაღებული კონფლიქტთან დაკავშირებით.

საერთაშორისო ინსტიტუტმა მკაცრად გააკრიტიკა საქართველოს მოქმედება – ამერიკის შეერთებული შტატებისა და ზოგიერთი ევროპული ქვეყნის, მათ შორის დიდი ბრიტანეთის, პოზიციებისგან განსხვავებით, რომლებიც მხარს უჭერენ თბილისს.

თუ საქართველო დამნაშავეა, ასეთივე დანაშაულია რუსეთის მოქმედებაც, რომლებსაც ბევრი „არაპროპორციულს“ უწოდებს.

ჯონ ჩიპმანის სიტყვებით, „არსებული მონაცემები მეტყველებენ იმის შესახებ, რომ ომი საქართველომ დაიწყო“.

თბილისი აცხადებდა, რომ საქართველოს მხრიდან მოქმედების დაწყების მომენტისთვის რუსეთის ჯარები უკვე გამოჩნდნენ სამხრეთ ოსეთში, რუსეთი კი ამტკიცებს, რომ უპასუხა თავდასხმას საქართველოს მხრიდან.

დასავლეთში სულ უფრო ხმამაღლა გაისმის ხმები სამხრეთ ოსეთში მოვლენათა საერთაშორისო გამოკვლევების მოწყობის აუცილებლობის შესახებ.

სტრატეგიული გამოკვლევების საერთაშორისო ინსტიტუტის განცხადება, ეჭვგარეშეა, გარკვეულწილად იმოქმედებს საქართველოსა და მისი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილისადმი თანაგრძნობაზე.

მაგრამ ინსტიტუტის ხელმძღვანელის განცხადების მნიშვნელობა ის არის, რომ იგი, ფაქტობრივად, მოუწოდებს უფრო აწონილ-დაწონილ მოქმედებას რუსეთთან ურთიერთობაში.

სტრატეგიული კვლევების საერთაშორისო ინსტიტუტის ექსპერტი ოქსანა ანტონენკოვარაუდობს, რომ მსოფლიოში ამერიკის შეერთებული შტატების გავლენის შემცირებით ევროკავშირმა უნდა შეასრულოს უფრო აქტიური როლი პოლიტიკური ინიციატივების ჩამოყალიბებაში, თუმცა ევროკავშირს ამისთვის უბრალოდ არ გააჩნია რესურსები.

ოქსანა ანტონენკომ აღნიშნა, რომ ნაყოფიერი ფაქტორი გახდა ევროკავშირში საფრანგეთის თავმჯდომარეობა რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის დროს: „ამან განსაკუთრებით გაუსვა ხაზი იმ ფაქტს, რომ ევროკავშირის ორგანოები უუნარონი არიან, – მიაჩნია ექსპერტს. – ჩვენ გვჭირდება სასწრაფოდ შევიმუშავოთ მექანიზმი, რომელიც არ დაუშვებდა ევროკავშირში ერთი ქვეყნის თავმჯდომარეობიდან მეორეზე გადასვლას“.

ლისაბონის ხელშეკრულება ითვალისწინებს ევროკავშირის მუდმივი პრეზიდენტის პოსტის შემოღებას და აძლიერებს ევროკავშირის კომისრის პოზიციებს საგარეოპოლიტიკურ საკითხებში. თუმცა ეს ხელშეკრულება დღემდე არ არის რატიფიცირებული ევროკავშირის წევრი ქვეყნების მიერ.

სტრატეგიული კვლევების საერთაშორისო ინსტიტუტის მოხსენება გამოქვეყნდა იმ დღეს, როდესაც ნატოს წევრი ქვეყნების თავდაცვის მინისტრები იკრიბებიან ლონდონში.

**პოლ რენოლდსი**

BBC RUSSIAN.com



რაც გვჭირს

**რუსეთის თემაზე ბოლო დროს გამართული ერთ-ერთი მასშტაბიანი და მნიშვნელოვანი დისპუტი დასრულდა. დასავლეთის ქვეყნებს აღარ აქვთ სადავო იმის თაობაზე, „თუ რამდენად მომგებიანია ეკონომიკური თვალსაზრისით ხელისუფლების მეორადი გამყარება, იმპერიული ამბიციების დაკმაყოფილება, რასაც რუსეთის „ერთპიროვნული ლიდერი“ ვლადიმერ პუტინი ახორციელებს, თუმცა ყველანი მას რატომღაც „პრემიერ-მინისტრს“ ვეძახით.**

# ოლიგარქების იმედად?!.

საქართველოს მიმართ რუსეთის აგვისტოს აგრესიამ ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაში მკვეთრად გამოსახული კონსენსუსი წარმოშვა, რომელიც ცოტა ხნის წინათ ბრიუსელში გამართულ ნატოს ქვეყნების საგანგებო სამიტზე მკაფიოდ გამოიკვეთა. ნატოს საგანგებო სამიტის დასკვნით **პუტინის სახელმწიფო — ვინაიდან სავსებით აშკარაა, რომ იგია „პირველი ვიოლინო“ და არა „ლიბერალი“ მედვედევი — ეს ის ქვეყანაა, რომელთანაც ალიანსს „აღარ შეუძლია საქმიანი ურთიერთობების ნორმალურად წარმართვა“.**

ბუნებრივია, რომ ამ არც თუ საამო დასკვნამ დასავლელი ლიდერების წინაშე სხვა, არანაკლებ რთული საკითხი წამოჭრა: ახლა როგორ უნდა იმოქმედონ? **დასავლეთმა, როგორც იქნა, საქვეყნოდ აღიარა, რომ რუსეთი არა მარტო საკუთარ მოქალაქეებს, უწინარესად, ჟურნალისტებსა და ადამიანის უფლებათა დამცველებს ეპყრობა უკიდურესი სისასტიკით, არამედ ფეხქვეშ თელავს დემოკრატიული განვითარების გზაზე დამდგარ მთელ სახელმწიფოებსაც, რასაც, სხვადასხვა, თეთრი ძაფით ნაკერივით აშკარა უნიჭო შენიღბვით ცდილობს.** იმის გათვალისწინებით, რომ რუსეთს საქართველოს მიმართ აგრესიისას გეოპოლიტიკურზე არანაკლებად ეკონომიკური ინტერესები ამოძრავებს, რომლი ქვეყნის სტატუსმა იგი გასული საუკუნის 90-იანი წლების მსოფლიოს სავალუტო ფონდის „კრედიტული მოწყალების“ მორჩილად მომლოდინე მთხოვნელიდან ცენტრობანკის 580-მილიარდიანი სავალუტო რეზერვების თავხედ მფლობელად გადააქცია. ნავთობდოლარების მძლავრი ნაკადის მნიშვნელოვანი ნაწილი, ცხადია, რუსეთმა თავისი ისედაც უზარმაზარი სამხედრო პოტენციალის გაზრდა-გათანამედროვებას მოახმარა და ახლა კვლავ შესწევს საომარი მოქმედებების წარმოების უნარი როგორც საკუთარ ქვეყანაში, ისე მის ფარგლებს გარეთ. გარდა ამისა, მეტად მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ რუსი სამხედროები ამერიკის მიერ კოსოვოს აღიარებისა და კოალიციის წევრი ქვეყნის ჯარებთან ერთად ერაყში ჯარის შეყვანის საპირისპიროდ საკუთარი ბარბაროსობის ერთგვარად „ეთნიკურად“ გამართლებულ პასუხად წარმოჩენას ცდილობენ.

დღევანდელ კონფლიქტებსა და ცივი ომის დროინდელ დაპირისპირებებს შორის გარკვეული პარალელიზმის მიუხედავად, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ დღევანდელი რუსეთი ჯერ კიდევ მთლად არ დაბრუნებია სსრ კავშირის ეპოქას, თუმცა ამის ნიშნები, ვფიქრობ, ყველასთვის აშკარაა. მართალია, სადღეისოდ რუსეთელები ათი წლის წინანდელებსაც ნავთისა და გაზის მკვეთრი სუნი ასდის, დასავლელ ლიდერებს გამოაქვთ დასკვნა, რომ მასზე ზეგავლენის მოხდენა და, მით უმეტეს, შეჩერება, ადვილი სულაც არ არის.

უპრიანი იქნება, დასავლეთის წინაშე წამოჭრილი პრობლემების განხილვა იმ ფაქტით დავიწყოთ, რომ რუსეთი სადღეისოდ მსოფლიოში ნავთობისა და გაზის მარაგების ერთ-ერთი უმდიდრესი მფლობელია. ბოლო წლებში მისი, როგორც ენერგოშემცველთა უმსხვილესი მწარმოებე-თან შედარებით ნაკლებად თავისუფალი არიან, მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს, აღვნიშნოთ, რომ ისინი მაინც შეუდარებლად უფრო ლაღად გრძნობენ თავს, ვიდრე „განვითარებული სოციალიზმის ეპოქაში“. მთავარი მაინც ის არის, რომ პუტინისა და მისი სულელი მეგობრების დიდი ძალისხმევის მიუხედავად, ცენტრალურმა ხელისუფლებამ მაინც ვერ შეძლო „ეკონომიკის სამეთაურო მაღლობების“ მთლიანად დაუფლება — ამჟამად რუსეთში არსებობს კერძო საკუთრება და კერძო ბიზნესი, რომელიც დღითი დღე უფრო მჭიდროდ ერწყმება მსოფლიო ეკონომიკურ ურთიერთობებს.



ამიტომაც არის, რომ დასავლელი ექსპერტები გამოთქვამენ მოსაზრებას, რომ **დასავლეთისთვის, თუ იგი რუსეთის საზღვარგარეთ მავნე მოქმედებათა შებოჭვას ლამობს, გაცილებით მომგებიანი იქნებოდა ფსონი მის კაპიტალზე, უფრო სწორად კი, რუსეთელ კაპიტალისტებზე გაეკეთებინა.** იქნებ ვინმეს ყოველგვარ აზრს მოკლებული მოეჩვენოს თეზისი, თითქოს რუსეთელმა ოლიგარქებმა შესაძლოა გადამწყვეტი როლი შეასრულონ რუსეთის განვითარების დემოკრატიულ გზაზე შემობრუნებაში, მაგრამ ამის თაობაზე უკვე გამოთქვა აზრი რამდენიმე დასავლელმა ლიდერმა და საფინანსო წრეების მსხვილმა წარმომადგენელმა, ასე რომ, **იდეა მთლად აბსურდული ნამდვილად არ არის, თუმცა ოლიგარქების „კეთილი ნების“ ადამიანებად აღქმა დიდი შეცდომა იქნება.**

მეტიც: ოლიგარქების პირველი ცნება კრემლის წინაშე ქედის მოდრეკაა, ხოლო ვინც მამლაყინწობას იწყებს, მას ქონების „დაკარგვა“ და ციხის საკანი ელის, რაც არაერთი მაგალითით დადასტურდა. **ისიც ადვილი დასანახია, რომ რუსეთელ ოლიგარქებს შორის დღემდე „მხრებზე თავი“ მხოლოდ იმათ შერჩათ, ვინც პუტინის პოლიტიკას მოერგო და, შესაბამისად, კაპიტალიც გაზარდა. ისინი, ცხადია, ახლაც დიდი სიამოვნებით მოითბობენ ხელს რუსეთის ნეოიმპერიალისტური პოლიტიკის შედეგად დანთებული ომის ცეცხლზე.**

მიუხედავად ამისა, ექსპერტების აზრით, თანამედროვე რუსეთის ყველაზე პროგრესული ძალა, რომელსაც გარკვეული რესურსი ჯერაც შერჩენილი აქვს, ბიზნესია. კაპიტალის დასავლური ბაზრები და დასავლელი მომხმარებელი მათი სისხლხორცეული ინტერესების ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა. **ამდენად, გულში ისინი დიდად დაინტერესებულნი არიან დასავლეთთან კარგი საქმიანი ურთიერთობების შენარჩუნებით. რუსეთელი კაპიტალისტებისთვის — პუტინისა და მისი სუკელი თანამზრახველებისგან განსხვავებით — სსრ კავშირის დაშლა ქვეყნიერების დასასრული კი არა, მსოფლიო ისტორიაში ყველაზე მდიდარი ლატარიის მოგებად გადაიქცა,** ძალოვანი სტრუქტურების ყოვლისშემძლე გენერალიტეტი კი მეორეხარისხოვან, შედარებით დაბალხელფასიან ჩინოსნებად აქცია. **რუსმა მაგნატებმა გემო გაუგეს ფულს, ძალაუფლებასა და საერთაშორისო პრესტიჟს და, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ ყოველივე ამას ასე იოლად არ შეელევიან.**

დასავლეთს, ცხადია, შეუძლია და, როგორც ისევ იძაური პოლიტოლოგები მიიჩნევენ, ვალდებულიც არის (ამისთვის მზადყოფნა უკვე გამოთქვა მრავალმა პოლიტიკურმა და სახელმწიფო ლიდერმაც), სრულად გამოიყენოს რუსეთზე გავლენის არცთუ მრავალრიცხოვანი ბერკეტი, მაგალითად, უარი უთხრას მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრებაზე, გააძლიეროს (რასაც აკეთებს კიდეც) მისი უფრო სუსტი მეზობლების (საქართველოს, უკრაინის) მხარდაჭერა. **და, ალბათ, რაც მეტად ეფექტიანი იქნება, თავადაც დაიწყოს იმ ვერაგული მეთოდების ქმედითი გამოყენება, რომელსაც კრემლი წარმატებით იყენებს მისთვის არმოსაწონი კომპანიების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სახელმწიფოების მიმართაც კი. აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ ამგვარი „ჩხვლეტების“ მიმართ საკმაოდ მგრძნობიარენი იქნებიან ასევე დასავლეთში დიდებული ვილების, ბანკებში უზარმაზარი ანგარიშებისა და ა.შ. მფლობელი რუსეთელი მაგნატები.**

ერთ-ერთი ცნობილი რუსი ოლიგარქის თქმისა არ იყოს, ეჭვი უკვე აღარავის აქვს, რომ **პუტინს მართლაც სურს ქვეყანა სტალინივით მართოს, თანაც პლუტოკრატ აბრამოვიჩივით იცხოვროს.** დასავლეთმა კი მასა და მისი გუნდის წევრებს პოპულარულად უნდა აუხსნას, რომ ეს ორი ერთმანეთთან შეუთავსებელი რამეა.

**ოთარ ტურაბელიძე**

გულის ბუხარი



# მორევში დაბრუნებული კალმახი

**ხაიშის იქით ნაბიჯი არ გადაგვადგმევინეს რუსულმა ტანკებმა და „ბეტეერებმა“. მუქ-ლურჯი საღებავებით სახემოთხუპნულმა „სალდათებმა“ უკმეხად შეაჩერეს ჩვენი „ნივა“ და უმიზეზოდ ჩამოგვსხეს მანქანიდან, „გაგვჩითეს“, „გაგვაშიშვლეს“ და სადღაც დარეკეს.**

— ნიეტ! — იყო პასუხი იმ „საიდანღაც“.

შეჯგუფებულიყვნენ სვანები ხაიშურას ხიდთან და სახეამღვრეულებს ნაკვერჩხალი სცვიოდათ თვალებიდან. კიდევ ცოტა და აფეთქდებოდა სვანთა მოთმინების ფიალა... „ჟურნალისტური“ თავი გამოვიდე და მივეახლე „ჩაფხუტიანთა“ კაპიტანს.

— სვანები მიდიან სვანეთში და თქვენ ვინ მოგცათ უფლება შეაჩეროთ ისინი?!

— ჟურნალსტებს არაფერი ესაქმებათ აქეთ!.. „პრიკაზ ესტ პრიკაზ!... კოდორსკაია უშელიე აბხაზსკაია ზემლია... ნამ პარუჩენა ტამ ნავესტი პარიადოკ!..“

— ო, ღმერთო!.. სვანეთი როდიდან გახდა ამათი საპატრონო! — ამოიოხრა ვამეხ გერლიანმა, მაგრამ მისი ამოოხვრისთვის ყურადღება არ მიუქცევია რუსული „პარიადოკის“ რუს დამცველს.

...ორი დღე და ღამე ველოდით ნებართვას — ბოლოს, როგორც იქნა დავაღწიეთ თავი „ბლოკპოსტს“ და როცა მანქანაში ჩავსხედით, გულად ხარძიანს ბოლმა აღმოხდა მკერდიდან.

— დაძაბუნდა სვანეთი, დაძაბუნდა!.. ტყვიის გაუსროლელად დაიპყრეს ამ ყაჩაღებმა ჩვენი სამანი!.. განა ვინმეს ოდესმე გაუგონია ასეთი ამბავი, კაცო!.. ხალხი გამოუყრიათ კოდორიდან ამ შობელძაღლებს და ახლა მესტიაშიც არ გვიშვებენ... ისედაც დაიცალა ჩვენი მხარე, ისედაც გადაშენების გზაზე ვდგავართ და ახლა ესენიც, — კბილების ხრჭიალით მოთქვამდა გულად ხარძიანი.

ხმას ვერ ვიღებდით დანარჩენები. იყო ჩაფიქრება და ძრწოლა გათელილი სამშობლოს გამო.

მანქანა ოხვრა-ხვნეშით მიუყვებოდა ქარაფებს მიმდევარ სამანქანო გზას.

ვინ იცის, რამდენჯერ გამივლია ამ გზაზე. ბავშვობაში ბაბუაჩემს ამოვყავდი მოყვრებთან და მოკეთეებთან. ჟურნალისტი რომ გავხდი, წელიწადი არ გაივლიდა, სამჯერ მაინც არ ვწვეოდი სვანეთს და ჩემი სიყვარული არ მემტკიცებინა ამ ამაყი ხალხისთვის. ჩემი კოლეგა პირიბე გვარლიანთან ერთად მრავალი ტელეგადაცემა მომიმზადებია, დიდებულ მეცნიერებთან მიხეილ და შოთა ჩართოლანებთან ერთად მრავალი კოშკი და გალავანი გადამირჩენია დანგრევისგან, არაერთი საჭირბოროტო საკითხი წამოგვიწევია „ზემდგომთა“ წინაშე და კბილებით დაგვიცავს ჩვენი პოზიცია. არა ერთი და ორი საგაზეთო ნარკვევი გამომიქვეყნებია, რომელთა მთავარი თემა იყო სვანური ჭირი და ლხინი, სვანეთში მოსახლეობის დამაგრების საკითხი და სხვ.

დაცლის პირას მისულმა სვანეთმა და მთიანეთმა, როგორც იქნა, პირი იბრუნა შინისკენ, კიდევ ერთი ომი დაატყდა თავს ჩვენს სამშობლოს, ყაჩაღები დადგნენ ჩვენს ბილიკებზე და „კალაშნიკოვებითა“ და „ბეტეერებით“ გადაგვილობეს გზა-სავალი.

* * *

...ჩემმა უერთგულესმა მეგობარმა, ლენტეხის რაიონული გაზეთის რედაქტორმა ბიძინა მუსელიანმა თაკვერში მიგვიწვია! ვინადირეთ, ვიძეიფეთ, სიყვარულსა და სილამაზეში გავეჯიბრეთ ერთმანეთს. ბოლოს ავიჩემე და ცხენისწყალის ჩქერებში კალმახებსაც შევეთამაშე სასროლი ბადით.

...მორევს ცისარტყელასავით გადაეფარა ბადე. შხეფები ნაპირზე გაიბნა ცრემლებივით და ატკარცალდნენ ცხენისწყლის ვარსკვლავებიანი კალმახები.

გზა ხიდზე გადიოდა და მდინარის გაღმა მოუყვებოდა აღმართს.

— აუ-უ!.. თევზაობენ და, თევზაობენ! — ბროლივით კრიალა ხმები დაეშვა გაღმა სოფლიდან და ხმას ძელქვასავით ჯანმაგარი ბიჭები გადმოჰყვნენ დაღმართზე. მერე ცისფერთვალება, ჰაეროვანმა გოგონებმა ააცისკროვნეს ცხენისწყლის ნაპირები და მზე უფრო აკიაფდა ტალღებში.

— ყველა ერთმანეთს ვინ დაგამგვანათ, თქვე დალოცვილებო...

— ცხენისწყალში ყველა ერთმანეთს ჰგავს კალმახი...

— ოჰო! დალოცვილი ენა გქონია ასე პატარას!

— ნანარალები ვართ ჩვენ....

— გამიგონია დალოცვილი ხალხი ცხოვრობს ნანარში...

— დიახ, ასეა.

— მო, ახლოს, უბეში ჩაისვი ეს კალმახი, შინ წაიყვანე და აუზში ჩასვი... დაგიმშვენებს ფუძეს!.. ვისი ხარ ვაჟო?

— დოდო ლიპარტელიანის ვართ ჩვენ, ყველანი...

— ექვსივე?

— კიდევ ოთხი სახლში! — ბიჭმა მკერდზე მიიხუტა კალმახი, მორევში შეტოპა და ტალღებში გაუჩინარდა.

— ეგ რა ქენი, ბიჭო!..

— აბა, აუზში რა უნდა კალმახს? კალმახი ცხენისწყალში უნდა იყოს...

* * *

**უმალ გამიელვა აზრმა: არა, ნამდვილად არ დაიჩოქებს სვანეთი და მთელი საქართველო ვერანაირი „სახეგათხუპნული აგრესორის წინაშე!“**

**ზაურ ფიფია**

**დაჯილდოება**



# ოლიმპიელებს — ოთხოთახიანი ბინები

**სამშენებლო კომპანია „ოლიმპიური ვარსკვლავი“ (პრეზიდენტი ზაზა რაზიკაშვილი) სიტყვას პირნათლად ასრულებს — ოლიმპიურ ჩემპიონებს კომპანიის მიერ თბილისის სხვადასხვა უბანში აშენებულ კორპუსებში ასახლებს, რათა მათ ჯანსაღი ცხოვრების მისაბაძი მაგალითი მისცენ ახალგაზრდებს. დევიზიც სათანადოა — ყველა ახალ კომპლექსში სახელოვანი სპორტსმენები!**

„ოლიმპიურმა ვარსკვლავმა“ ამჯერად ოთხოთახიანი ბინებით დააჯილდოვა პეკინის ოლიმპიადის გამარჯვებულები — ირაკლი ცირეკიძე (სააკაძის მოედანზე მშენებარე კომპლექსში), რევაზ მინდორაშვილი (საბურთალოზე), მანუჩარ კვირკველია და ბრინჯაოს პრიზიორი გიორგი გოგშელიძე (დიდუბეში). დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალი მერაბ ბერძენიშვილის სახელობის კულტურის საერთაშორისო ცენტრ „მუზაში“ გაიმართა.

კარგია, რომ ჩვენს ოლიმპიელ ვაჟებს სხვადასხვა კომპანიები ბინებით აჯილდოებენ, მაგრამ რა დააშავა ბრინჯაოს მედალოსანმა ნინო სალუქვაძემ? არა გვგონია, ორი შვილის დედას ზედმეტმა ბინამ აწყინოს!

**ყიფიანის თასი**

# დედაქალაქური



**დავით ყიფიანის სახელობის „ყაზბეგის“ თასის გათამაშების რვა მეოთხედფინალისტიდან ხუთი დედაქალაქს წარმოადგენს. დაგვეთანხმებით, ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ რეგიონებში ფეხბურთი სულს ღაფავს და მდგომარეობის გამოსასწორებლად რადიკალური ზომების სასწრაფოდ მიღებაა საჭირო.**

გთავაზობთ საპასუხო მერვედფინალური მატჩების შედეგებს: „დინამო“ — „თბილისი“ 4:0 (6:1), „სამტრედია“ — „ვიტ ჯორჯია“ 0:3 (0:3), „გურია“ — „ამერი“ 0:2 (2:1), „ჭიათურა“ — „ლოკომოტივი“ 1:3 (0:3), „ცხინვალი“ — „მერანი“ 1:3 (1:0), „კოლხეთი“ — „სიონი“ 1:1 (0:3), „ჩიხურა“ — „ზესტაფონი“ 1:0 (0:5), „ბაია“ — „ოლიმპი“ 0:4 (1:1).

**ფეხბურთი**

# მხოლოდ შედეგები



**უეფას თასის გათამაშებას ქართველ ლეგიონერთა არცერთი კლუბი აღარ შემორჩა, ამიტომ მხოლოდ მესამე ეტაპის სასტარტო შეხვედრების შედეგებს გაგაცნობთ:**

„აპოელი“ — „შალკე“ 1:4, „ჰერტა“ — „სენტ პატრიკი“ 2:0, „ნორდსელანდი“ — „ოლიმპიაკოსი“ 0:2, „რასინგი“ — „ჰონკა“ 1:0, „სლავენი“ — ცსკა 1:2, „მარიტიმუ“ — „ვალენსია“ 0:1, „ბრაგა“ — „არტმედია“ 4:0, „ბორაცი“ — „აიაქსი“ 1:4, „ტოტენჰემი“ — „ვისლა“ 2:1, „სეტუბალი“ — „ჰერენვენი“ 1:1, „ევერტონი“ — „სტანდარდი“ 2:2, „ნაპოლი“ — „ბენფიკა“ 3:2, „ბორუსია“ — „უდინეზე“ 0:5, „სევილია“ — „ზალცბურგი“ 2:0, „დინამო“ (ზაგრები) — „სპარტა“ 0:0, „მილანი“ — „ციურიხი“ 3:1, „ქაისერისფორი“ — „პარი სენ-ჟერმენი“ 1:2, „იანგ ბოიზი“ — „ბრიუგე“ 2:2, „ბრონდბიუ“ — „რუსენბორგი“ 1:2, „ჟილინა“ — „ლევსკი“ 1:1, „ბელინცონა“ — „გალათასარაი“ 3:4, „ნაიმეგენი“ — „დინამო“ (ბუქარესტი) 1:0, „ტიმიშოარა“ — „პარტიზანი“ 1:2, „ბრანი“ — „დეპორტივო“ 2:0, „ბეშიქთაში“ — „მეტალისტი“ 1:0, „ნანსი“ — „მოზერუელი“ 1:0, „აუსტრია“ — „ლეხი“ 2:1, „სლავია“ — „ვასლუი“ 0:0, „პორტსმუთი“ — „გიმარაეში“ 2:0, „ომონია“ — „სიტი“ 1:2, „ჰამბურგი“ — „უნირეა“ 0:0, „ფეიენოორდი“ — „კალმარი“ 0:1, „ბანიკი“ — „სპარტაკი“ 0:1, „ვოლფსბურგი“ — „რაპიდი“ (ბუქარესტი) 1:0, „ჰაპოელი“ — „სენტ ეტიენი“ 1:2, „ბურგასი“ — „შტუტგარტი“ 1:2, „ლიტექსი“ — „ასტონ ვილა“ 1:3, „მოსკოვი“ — „კოპენჰაგენი“ 1:2.

**საპასუხო მატჩები 2 ოქტომბერს გაიმართება.**

**ჯანსაღი სული**

# კაცი, რომელიც ადამიანთა ჯანმრთელობაზე ზრუნავდა

**პირველად სტუდენტობისას შევხვდი ვაკის პარკთან. ჯმუხი მამაკაცი უშველებელი მეგაფონით ხელში მასობრივი გარბენის მონაწილეებს შეჯიბრების წესებს გვაცნობდა. სახელიც მეუცხოვა — ნუხა.**

**მერე და მერე, სპორტულ თემებზე წერა რომ დავიწყე, ჩვენი შეხვედრები გახშირდა. ბატონი ნუხა გაგოშიძე, ერთობ საქმიანი და მუდამ მოფუსფუსე კაცი, დღენიადაგ ადამიანთა ჯანმრთელობაზე ზრუნავდა — იგი გახლდათ საქართველოში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების ერთ-ერთი ინიციატორიცა და შემსრულებელიც, „სპორტი ყველასათვის“ ეროვნული ფედერაციის დამფუძნებელი და ხელმძღვანელი. ყოფილი მძლეოსანი დაუღალავად ეწეოდა მასობრივი სპორტის პროპაგანდას — რეგულარულად მართავდა წვევამდელთა სპარტაკიადებსა და შეჯიბრებებს პოლიატლონში.**



ნუხა გაგოშიძე (მარცხნივ) და კახი ასათიანი

**სად არ ნახავდით ნუხა გაგოშიძეს თავისი განუყრელი მეგაფონით — ეროვნულ სტადიონზე, ვაკის პარკთან, თავისუფლების მოედანსა თუ იპოდრომზე. ყოველთვის მოვლენათა ეპიცენტრში იმყოფებოდა. მის სიტყვას ფასი ჰქონდა. ყველას უყვარდა თავადაც სიყვარულის მთესველი.**

**სამი შვილის მამას და 5 შვილიშვილის ბაბუას ბედნიერი სიბერის წლები უნდა რგებოდა, მაგრამ 3 წლის მიშიკოს მოულოდნელმა დაღუპვამ გატეხა ეს მთაკაცი, თითქოს სიცოცხლის ინტერესიც დაკარგა, აღარ იყო უწინდებურად ხალისიანი, თანდათან თავის საყვარელ საქმესაც ჩამოშორდა. ხუთი წლის წინათ კი ნაადრევად შეწყდა მისი გულისძგერა და სამუდამო სასუფეველში გადაინაცვლა, არადა, ამ ზაფხულს 70 წელი შეუსრულდებოდა. ნათელში ამყოფოს უფალმა მისი სული.**

**ვაჟა დანელია**

**ინტერნეტიდან**

## ქალები მამაკაცებს აჯობებენ?

**თურმე ასე მიიჩნევენ ოქსფორდის უნივერსიტეტის სწავლულები, როდესაც 100 მეტრზე სირბილის შედეგებს აანალიზებენ. თუმცა ისინი პირველები როდი არიან, ამაზე, დიდი ხანია, ფიქრობენ და სანამ ისინი ფიქრობენ, თავად სპორტსმენებმა 100 მეტრის გარბენაზე დახარჯული დრო მხოლოდ ერთი წამით შეამცირეს. 1912 წლის 6 ივნისს ამკრიკელმა დონ ლიპინკტონმა ეს მანძილი 10,6 წამში დაფარა, სულ ცოტა ხნის წინ კი, წლევანდელ 6 აგვისტოს იამაიკელმა უსეინ ბოლტმა ეს „დიდი“ დისტანცია დაუჯერებელ 9,69 წამში „დაკეტა“.**

ახლა ყველა, მათ შორის სპეციალისტებიც და მეცნიერებიც იმაზე მსჯელობს, ნუთუ ესაა ადამიანური შესაძლებლობის ზღვარი, მით უმეტეს, რომ იციან. პეკინში 100 მეტრზე სირბილის დროს, ბოლო 30 მეტრზე ბოლტმა „ფოკუსნიკობა“ დაიწყო, ნახეთ, როგორი ბიჭი ვარო! იმავე სწავლულების აზრით, მისი ნაჩვენები დრო გაცილებით ნაკლები, თითქმის 9,54 წამი იქნებოდაო.

ახლა კი მეცნიერები ფიქრობენ, რომ 2030 წლისთვის მამაკაცს შეეძლება, ეს მანძილი 9,45 წამში დაფაროს.

თუმცა სწავლულები იმასაც ფიქრობენ, რომ რაღაც 100-150 წლის შემდეგ სირბილში რეკორდსმენები კაცები კი არა, უკვე ქალები იქნებიან. და ისინი ამას უკეთესად შეძლებენ. მათი პროგნოზით 2156 წლისთვის ქალები 100 მეტრზე უკვე გადაასწრებენ მამაკაცებს და ამისთვის მათ მხოლოდ 8,079 წამი დასჭირდებათ, მამაკაცებს კი — 8,098 წამი. ფანტაზიაა? აბა, მოვიცადოთ რაღაც საუკუნენახევარი და ამაში ხომ დავრწმუნდებით (?!) (ხომ არ გახსენდებათ ძველი ანეკდოტი — გურულმა ყვავი რომ მოაშინაურა, უნდა დავაკვირდე, ნამდვილად ცოცხლობს თუ არა 300 წელსო).

**კარიკატურისტის თვალით**




**ამირან ერაძის ნახატი**

## კრიშტიანუ რონალდუს ავტოფარეხი

**ფეხბურთის გულშემატკივრებმა კარგად იციან, რომ გასული საფეხბურთო სეზონის „ჯილა“ „მანჩესტერ იუნაიტედისა“ და პორტუგალიის ნაკრების ნახევარმცველი კრიშტანუ რონალდუ იყო. ის აღიარეს წლის საუკეთესო ფეხბურთელად, „ოქროს ბუცის“ მფლობელად.**



დიახ, ის საუკეთესო ბომბარდირად აღიარეს, თუმცა თავდამსხმელი კი არა ნახევარმცველია. მან მეტოქეთა კარში 31 ბურთი გაიტანა.

მაგრამ ახლა კრიშტონუს სულ სხვა „რეკორდებზე“ უნდა გაცნობოთ. ამას წინათ ფეხბურთის ვარსკვლავმა შეიძინა უზრწყინვალესი ავტომანქანა „ბენტლი კონტინენტალ ჯი-ტი სპიდ“, რაშიც 280 ათასი დოლარი გადაიხადა, მაგრამ უფრო ძვირი დაუჯდა ამ მანქანისთვის ნომერი — CR7 (ანუ Cristiano Ronaldo №7), რაშიც 300 ათასი დოლარი გაიღო.

თუმცა ფეხბურთელის ავტოფარეხში უფრო ძვირფასი ავტომანქანებიცაა — „როლს-როის ფანტომ დროპჰედ კუპე“ — 680 ათას დოლარად ღირებული, „ფერარი“ ф430-202 ათასი დოლარი, „პორშე კაენ“— (2 ცალი)— 95 ათასი, „პორშე“-911— 100 000 დოლარი. BMV – M6 – 110 ათასი დოლარი სულ მალე კი შეიძენს „ბუგატი ვერონს“, რომლის სავარაუდო ფასი მილიონ შვიდას ორმოცდაათი ათასი დოლარი იქნება.

შეგახსენებთ, რომ თავისი კარიერის დასაწყისში, ლისაბონის „სპორტინგში“ ის ჯაბახანა „სეატ-ბიცათი“ მივიდა.

იქნებ იკითხოთ, სად შოულობს ფეხბურთელი ამდენ ფულსო. გიპასუხებთ, მისი ხელფასი კვირაში 260 ათასი დოლარია.

## ცხელი მოდელი

**ალბათ გახსოვთ, ჩემპიონთა ლიგის პირველ მატჩში თურქული „ფენერბახჩეს“ ფეხბურთელმა დანიელ გუისამ როგორ გაიტანა ერთადერთი საპასუხო ბურთი პორტუგალიის „პორტუს“ კარში.** თითქმის ამ დროს მისმა ყოფილმა ცოლმა არანდა როსიომ გადაწყვიტა, მოდელობას დაბრუნებოდა. მითუმეტეს, რომ ფეხბურთელთა „დაქალებისა“ და ცოლების უმრავლესობა ცდილობს, მოდური ჟურნალ-გაზეთების ან კალენდრების ფურცლებზე გამოჩნდეს, რაც შეიძლება, გაშიშვლებული. ალბათ იმიტომ, რომ მოკრძალებულ ქალიშვილებად არ გამოიყურებოდნენ თავიანთ „ ვარსკვლავ“ ქმრებთან თუ საყვარლებთან.

ოცდაათი წლის ლამაზმანი, საზოგადოებრიობის მტკიცებით, უფრო სექსუალური და მგზნებარე გახდა, ვიდრე ადრე. ჟურნალების ფურცლებიდან არანდა ყვება თავის ცოლ-ქმრულ ცხოვრებაზე და იმაზეც, რომ თავის საყვარელ საქმეს უბრუნდება, რადგან იქ ძალზე პოპულარულიცაა და იქ მოპოვებული ფული მისთვის ზედმეტი როდი იქნება.

შეგახსენებთ, რომ დანიელ გუისას გოლის მიუხედავად „ფენერბახჩე“ მაინც დამარცხდა — 1:3.



ერიჯააა!

# „ჯეოსტარს“ ანგარება ხრავს?!

**მუსიკალურ ყოველწლიურ კონკურს „ჯეოსტარში“ ორი წელიწადია წარმატებით გამოდიან (მეორე ადგილიძ სამეგრელოს წარმომადგენლები. წლეულს კი, რატომღაც, გადაწყვიტეს, რომ ეს კონკურსი სამეგრელოსა და აფხაზეთის წარმომადგენლების გარეშე ჩაატარონ.** არადა ზუგდიდის მე-5 საჯარო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლემ **ეკა არახამიამ** ყველა წინასწარი კონკურსი წარმატებით გაიარა, და პირველ ადგილზეც გავიდა რეგიონში. ეკას მამამ ბატონმა თამაზმა ასეთი რამ გვითხრა: „ზუგდიდში „ჯეოსტარის“ შესარჩევი კონკურსი ნორმალურად გაიმართა. 417 მონაწილიდან ჩემი შვილი ხუთეულში გავიდა. 14 სექტემბერს ეს ხუთეული მიიწვიეს თბილისში, სადაც უნდა დაესახელებინათ გამარჯვებული. ეკამ აქაც გაიმარჯვა და ჟიურის ყველა წევრმა მიულოცა გამარჯვება. ორი დღის შემდეგ კი მდგომარეობა იცვლება და ეკას ატყობინებენ, რომ ის მოხსნილია კონკურსიდან. იგივე განუცხადეს აფხაზეთის წარმომადგენელს **ირაკლი ჭურღულიას**, შესანიშნავი მუსიკალური ნიჭის მქონე პიროვნებას. უარი კი იმით ახსნეს, რომ თურმე სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონს და აფხაზეთს უარი ეთქვა კონკურსში მონაწილეობაზე. ეს არის აღმაშფოთებელი ფაქტი, — აღნიშნა თამაზ არახამიამ.

თავის გულისწყრომას ვერ მალავს ეკას მუსიკის მასწავლებელი ქალბატონი ზაირა ქალდანი: „მე მინდა გავიგო რა ხდება თბილისში. მე სვანი ვარ. ნუთუ მეგრელები, სვანები, აფხაზეთის წარმომადგენლები ღირსნი არა ვართ მონაწილეობა მივიღოთ კონკურსში?! ვფიქრობ, რომ ეკას და ირაკლის ადგილები თბილისელებს გადაუნაწილეს! ეკა არახამია დეპრესიაშია — ის თვითონ ხედავდა, თუ როგორ უსამართლოდ მიმდინარეობდა კონკურსი. ეს არის ბავშვის რწმენის ჩაკვლა, სულის დეგრადირება! — ამბობს ქალბატონი ზაირა.

**რატომ უთხრეს უარი „ჯეოსტარში“ მონაწილეობაზე სამეგრელოსა და აფხაზეთის წარმომადგენლებს?**

ჭეშმარიტად, რომ ასეა...

**ლადო ქირია,**
**ზუგდიდიდან**

## განცხადება

**სს „ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხანა“ აცხადებს, რომ 2008 წლის 10 ოქტომბერს, 15 საათზე ქ.თბილისში, ცოტნე დადიანის ქ.№ 32 გაიმართება აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრება.**

**სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით სააღრიცხვო თარიღად დადგენილია 2008 წლის 19 სექტემბერი.**

დღის წესრიგი:

- ცვლილებები საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში;
- სხვადასხვა.

აქციონერებს შეუძლიათ შეამოწმონ თავის კრებაში მონაწილეობის უფლება ს.ს. „ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის“ აქციათა რეესტრის მწარმოებელთან შპს „კაპიტალ-რეგისტრთან“ კრების ჩატარებამდე 10 დღის განმავლობაში შემდეგ მისამართზე: **ქ.თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. 80, ტელ: 23-03-84.**

**სს „ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის“ ადმინისტრაცია**

რეკლამა კოსტავას 12
„საქართველოს რესპუბლიკაში“
98-65-87; 899 32-85-76.

ხსოვნა

# დურმიშხან მაღალაშვილი



გარდაიცვალა ბრწყინვალე მოქალაქე, ღირსეული და ვალმოხდილი მამულიშვილი ბატონი დურმიშხან მაღალაშვილი.

არა მარტო სამეგობრო წრისთვის, რომელიც ბევრ ადამიანს ითვლის, არამედ ჩვენი ქვეყნის მრავალეროვანი საზოგადოებისთვის ცნობილია ბატონი დურმიშხანის კაცთმოყვარეობა, ქველმოქმედება, გულკეთილობა და სამართლიანობა, ამიტომაც შეიყვარა ის ხალხმა და მოწიწებით ეპყრობოდა მას.

საზოგადოდ იმაზე მეტი ბედნიერება არ არის, როდესაც ადამიანი პიროვნული თვისებების გამო ხალხის მიერ არის პატივცემული, რაც წილად ხვდა ბატონ დურმიშხანს.

ბატონი დურმიშხანის ყველა მოქმედებას საფუძვლად ედო კეთილგონიერება და ღირსება ადამიანების მიმართ.

სამძიმარს ვუცხადებთ განსვენებულის ოჯახს.

ღმერთო, ნათელში გვიმყოფე ჩვენი ძვირფასი მეგობრის — დურმიშხან მაღალაშვილის სული.

ლევან მახვილაძე, მიხეილ ქუთათელაძე, ზურაბ ჭუმბურიძე, ბიძინა მოისწრაფიშვილი, გელა რევაზიშვილი, ზაალ გენძეხაძე, აკაკი ბუდაღაშვილი, ოთარ ონიანი, ალეკო ფაილოძე, თემურ ბიწაძე, გურამ ჭანტურია, ფრიდონ ლოლაძე.

# გრიგოლ (გრიშა) აბჟანდაძე



საჩხერის ინტელიგენციამ, პედაგოგიურმა საზოგადოებამ უმძიმესი დანაკლისი განიცადა: გარდაიცვალა ღვაწლმოსილი პედაგოგი გრიგოლ (გრიშაძ აბჟანდაძე.

გრიგოლ აბჟანდაძე დაიბადა 1931 წელს საჩხერის რაიონის სოფელ სარეკში. 1955 წელს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის წარმატებით დამთავრების შემდეგ, მუშაობა დაიწყო საჩხერის პირველ საშუალო სკოლაში მასწავლებლად; 1960-61 წლებში იყო სარეკის რვაწლიანი სკოლის დირექტორი, 1974-80 წლებში — საჩხერის №1 საშუალო სკოლის დირექტორი, 1980-86 წლებში — საჩხერის განათლების განყოფილების გამგე; 1961-74 წლებში იმყოფებოდა პარტიულ სამუშაოებზე.

ერუდიცია, განსწავლულობა, კეთილი პიროვნული თვისებები, კოლეგიურობა, გულისხმიერება, კაცთმოყვარება, დიდი პედაგოგიური ალღო, ცოდნა და გამოცდილება აყალიბებდა გრიგოლ აბჟანდაძის მაღალ ავტორიტეტს საზოგადოებაში.

განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო მისი ზრუნვა მომავალი თაობების აღზრდისათვის, რასაც ოთხ ათეულ წელზე მეტი შეალია.

გრიგოლ აბჟანდაძის შრომისმოყვარეობა, ნაყოფიერი მოღვაწეობა დაფასებულია ღირსების ორდენით, უამრავი მედლით, სიგელითა და დიპლომით.

ვინ იფიქრებდა, რომ სულითა და სხეულით ამ ბრგე ვაჟკაცს სენი მოერეოდა. თუმცა, შესაძლოა, ავადმყოფობასთან ერთად, მის სათაყვანო საქართველოში დატრიალებულმა ბოლოდროინდელმა მუხანათურმა, ტრაგიკულმა საომარმა მოვლენებმაც მოუსწრაფეს სიცოცხლე.

რჩეულთათვის სიცოცხლე სიკვდილის შემდეგაც გრძელდება! სწორედ ასეთი იყო გრიგოლ აბჟანდაძე. ამიტომაც წლები ვერ წაშლიან მის ნათელ ხსოვნას.

საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულო;
საჩხერის მუნიციპალიტეტის გამგეობა;
საჩხერის საგანმანათლებლო რესურს-ცენტრი;
საჩხერის პედაგოგიური საზოგადოება

მეუღლე მანანა ნადარაია, შვილები ირაკლი, რუსიკო ეზუგბაიები, დედა პაშა ანჩაბაძე, რძალი ეკა ბიწაძე, შვილიშვილი ალექსანდრე ეზუგბაია იუწყებიან
ოთარ მირიანის ძე ეზუგბაიას
გარდაცვალებას. პანაშვიდი 20 IX, 16 სთ. გამოსვენება 21 IX, 15 სთ. მისამართი: თბილისი, ქავთარაძის ქ. №25, III კორ. IV სართული, ბ. 19.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია თანაუგრძნობს ბატონ ირაკლი ეზუგბაიას მამის, თვალსაჩინო მოქალაქისა და პიროვნების
ოთარ მირიანის ძე ეზუგბაიას
გარდაცვალების გამო.

მამიდაშვილები ნაილი, ზაირა, ზურაბ გერგედავები, რძალი ნანა თოლორაია, სიძეები ჯუმბერ კაკუბავა, ანდრო ჭელიძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
ოთარ ეზუგბაია
და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახის წევრებსა და ახლო ნათესავებს.

ნუგზარ და მანანა ფიფიები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ
ოთარ ეზუგბაიას
გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ვალიკო ბერია ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება სიძის
დურმიშხან მაღალაშვილის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 20 IX, 17 ს. დაკრძალვა 21 IX, 15 სთ. საბურთალოს ქ. 30ა.

ჯუმბერ ხარაიშვილი, ოთარ კუპატაძე, გურამ გაფრინდაშვილი, იუზა ჩხეიძე ღრმა მწუხარებით იუწყებიან გულითადი მეგობრის, ბრწყინვალე მოქალაქის, კოლორიტული რაინდის
ოთარ აბდუშელიშვილის
გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულიას ოჯახს.

ბლუაშვილების საგვარეულო ღრმა მწუხარებით იუწყება უკეთილშობილესი პიროვნების
ზურაბ ბლუაშვილის
გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს მის ოჯახს.

## შპს „ოქროს საწმისისა“ და ქ.ბ.ა.ს. ფონდის სარეაბილიტაციო კომისია აცხადებს აუქციონს სარეაბილიტაციო მასაში შესულ უძრავ ქონებათა რეალიზაციის მიზნით

**აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საქართველოს რეზიდენტ, ასევე არარეზიდენტ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს. აუქციონი გაიმართება 2008 წლის 4 ოქტომბერს 14 საათზე. მისამართი: ქუთაისი, ტაბიძე-გრიშაშვილის ქ.№ 1/23, II სართული. შპს „ოქროს საწმისის“ ოფისში.**

**ინფორმაცია უძრავი ქონების შესახებ:**

1. ქ.ქუთაისი, ზ.გამსახურდიას გამზირი № 27/73 (ყოფ.რუსთაველის ქუჩაძ მდებარე საცხოვრებელი ფართი 45.61 კვ.მ. საწყისი გასაყიდი ფასი — 75000 ლარი.
2. ქ.ქუთაისი, ავტომშენებლის ქ.№ 31 მდებარე არასაცხოვრებელი ფართი 63.33 კვ.მ. საწყისი გასაყიდი ფასი — 40000 ლარი.
3. ქ.ქუთაისი, დუმბაძე-გრიშაშვილის № 1/35 მდებარე შენობა-ნაგებობა, არასაცხოვრებელი ფართი — 1485.20 კვმ. საწყისი გასაყიდი ფასი — 2 376 320 ლარი (ყოფ.ნინოშვილის უნივერმაღიძ.

**„ბიჯის“ ოდენობა — საწყისი გასაყიდი ფასის 10 პროცენტი.**

აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განცხადების მიღება მიმდინარეობს აუქციონის ჩატარების თარიღამდე 14 კალენდარული დღის განმავლობაში 12 სთ-დან 16 სთ-მდე.

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად სააუქციონო კომისიას უნდა წარედგინოთ შემდეგი დოკუმენტაცია:

1. განაცხადი, რომელიც უნდა შეიცავდეს მონაწილეზე ქონების დასახელებას, საწყის ფასს იმ ქონებაზე, რომლის შეძენაც სურს.
2. პირადობის დამამტკიცებელი მოწმობის ასლი.
3. ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით.
4. იურიდიული პირები დამატებით წარმოადგენენ ნოტარიულად დამოწმებულ სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლებს.

აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია ქონების შესაძენად მაქსიმალური ფასის (არანაკლებ საწყისი ფასისძ გადახდა.

**თანხის გადახის ვადები:**

მყიდველი ვალდებულია, აუქციონის შედეგების ოქმის დამტკიცების მომენტიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში გადაიხადოს მის მიერ აუქციონზე დასახელებული უძრავი ქონებათა საბოლოო ფასი, წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და მყიდველს არ მიეცემა საკუთრების უფლება ქონებაზე.

უძრავი ქონების შესახებ დაწვრილებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია — ქ.ქუთაისი, ტაბიძე-გრიშაშვილის ქ.№ 1/23-ის II სართულზე, შპს „ოქროს საწმისის“ ოფისი. ტელ: (8231ძ 4-48-02; მობ. 855 68-11-98.

**შპს „ოქროს საწმისის“ და ქ.ბ.ა.ს. ფონდის რეაბილიტაციის მმართველი**

## მიძღვნა

### თამარი

*ჩემს თაკოს ვულოცავ დაბადების დღეს*

*იცით რა არის ჩემთვის მთავარი? —*
*ამოდის მთვარე, მთვარე თამარის.*

*მე ვენაცვალე შენს ლამაზ თვალებს,*
*მზის სიყვარულით ამოდის მთვარე.*

*უცებ, მზისა სხივს რითმად შეახმა, —*
*მზე ხომ შენა ხარ, მზე ხომ შენა ხარ.*

*გიყურებ მზეზე უფრო სადა ხარ,*
*თამარ, სადა ხარ, თამარ, სადა ხარ.*

*გეძებ და გეძებ, ძებნამ დამთალხა,*
*იქნებ, ღვთისმშობელ მარიამთან ხარ.*

*კეთილმორწმუნე, წმიდათ-წმიდაო,*
*ქართველთა მეფეთ მოხველ ციდანო.*

*ვერც ერთმა მტერმა ვერსად*
*გაგვთელოს,*
*შენი თვალი აქვს ჩემს საქართველოს.*

**ჯანსუღ ჩარკვიანი**
19 სექტემბერი

## მადლობა

შ. დადიანის ქ. №20-ის მობინადრენი დიდ მადლობას ვუხდით ძველი თბილისის რაიონის გამგებლის მოადგილეს ბატონ კობა ხარშილაძეს ჩვენი ავარიული კიბის განახლებისთვის.

მადლობას ვუხდით აგრეთვე შპს ფირმა „ლატანი+ის“ ხელოსნებს ლევან მაღრაძეს, გიზო გაფრინდაშვილს, არჩილ ტატუნაშვილს მოვალეობის კეთილსინდისიერად შესრულებისთვის.

პატივისცემით
**იზოლდა ბურძგლა,**
ი. ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების ფაკულტეტთან არსებული ი. გოგებაშვილის პედაგოგიკურ მეცნიერებათა ეროვნული ინსტიტუტის მეცნიერი მკვლევარი, ჟურნალისტთა ფედერაციის წევრი.

## ინფორმაცია

### 4 ექვმიტანილი დააკავეს

**სამართალდამცავებმა ნარკოდანაშაულში ექვმიტანილი 4 პირი დააკავეს. სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის (სოდიძ თანამშრომლებმა გატარებული ღონისძიებების შედეგად 33 წლის დავით ცხაკაია დააკავეს, რომელსაც აღმოაჩნდა 2 „წონაკი“ „ჰეროინი“ და 0,353 გრამი „მეტადონი“, სოდის მიერ ასევე დაკავებულია 43 წლის გიზო გორგოძე, რომლისგანაც ამოღებულია 4,6533 გრამი „ჰეროინი“.**

იმავე დანაშაულშია ექვმიტანილი 26 წლის არტურ ტოზონიანი, რომლის სახლის ჩხრეკისას ქვემო ქართლის პოლიციამ 3 „წონაკად“ დაფასოებული „ჰეროინი“ ამოიღო.

რაც შეეხება 35 წლის შალვა ბეგიჯანაშვილს, იგი თბილისის პოლიციამ დააკავა და პირადი და ბინის ჩხრეკისას 1,15895 გრამი „ჰეროინი“ აღმოაჩნდა.

**XO-ᲔᲘᲑ-ᲔᲜᲘ**

## IQ

გონების სავარჯიშო — ყმაწვილთათვის და არა ოდენ მათთვის

# მარჯვე ბიჭო ნიკო, შეიმოწმე ინკო*!

### ტესტი 7

1. ჩამოთვლილ სიტყვათაგან რომელი ორია მნიშვნელობით ერთმანეთის საპირისპირო?
გამბედავი, დაინტერესებული, დაფლეთილი, დახეული, ინდიფერენტული, კრიტიკული, პრაქტიკული.

2. რამდენი წუთი დარჩა შუაღამემდე, თუ გამოსაცნობი მომენტიდან ერთი საათის წინ 5-ჯერ მეტი წუთი იყო გასული საღამოს 9-ის შემდეგ?

3. რომელი რიცხვი უნდა ჩაიწეროს ცხრილში კითხვის ნიშნის ნაცვლად?

| | | | |
|---|---|---|---|
| 70 | 7 | 3 | 7 |
| 81 | 9 | 4 | 5 |
| 63 | 7 | 8 | 1 |
| 56 | ? | 7 | 0 |

4. შეადგინეთ სიტყვა ასოების გადალაგებით



**მინიშნება:** განზომილება ვერტიკალის მიხედვით.

5. რიცხვი 468 952 ისე უკავშირდება 259 864-ს, როგორც 237 198 რომელს ამ ხუთი რიცხვიდან? ა(ძ 698 474; ბ(ძ 123 897; გ(ძ 927381; დ(ძ 891732; ე(ძ 219 837.

6. მონახეთ უცხო სიტყვა, რომელიც ყოველ დაბოლოებასთან ადგენს ახალ უცხო სიტყვას. (....ძა; (....ძ ანსი; (....ძ ვი; (....ძ ვობა.

7. ამ სიტყვებიდან რომელი ორია მნიშვნელობით ყველაზე ახლოს ერთმანეთთან?
დახმარება, თავგანწირვა, უგუნურება, პენსია, ხელშეკრულება?

8. ამ ორი წრის ცარიელ სექტორებში ისე ჩაწერეთ ასოები, რომ ორი სიტყვა-სინონიმი გამოვიდეს (ერთ წრეში საათის ისრის მოძრაობის საწინააღმდეგოდ, მეორეში — თანხვედრითძ.



9. ამ ჩამონათვალში რომელი სიტყვაა „უადგილო“?
ლოყა, მხარი, ნესტო, ნიკაპი, ყბა, ყური.

10. რომელ რიცხვს დასვამთ კითხვის ნიშნის ადგილას მესამე კვადრატში?



### ტესტი 6-ის პასუხები

**1. მებატონე, მფლობელი.**
**2. ელისაბედი**
**3. თელეთი, იკარი, რიკოთი, თივა, არია, რიაზანი.**
**4. კვადრატის პირველი „სტრიქონიდან“ გვაქვს: (11-4ძX3=21; მეორიდან: (16-9ძX4=28; მეოთხიდან: (15-2ძX5=65; შესაბამისად მესამეში გვექნება: (20-12ძX8=64.**
**5. წერეთელი, განთიადი.**
**6. ჩარევა.**
**7. განრისხებული, გაგულისებული.**
**8. პირველი წრის მიხედვით გვაქვს: (5+7ძ:3=4; მეორიდან გვაქვს: (9+19ძ: 2=14; შესაბამისად მესამე წრეში გვექნება: (12+6ძ:3=6.**
**9. პირველი სიტყვა შედგება 3 ასოსაგან, მეორე — 4 ასოსაგან, მესამე— 5 ასოსაგან, მეოთხე — 6 ასოსაგან; ამ „ლოგიკით“ მეხუთე სიტყვა იქნება 7-ასოიანი „იაპონია“.**
**10. გამოდის ქართული ანდაზა „მოჩქარეს მოუგვიანდეს“.**

* ინკო — ინტელექტის კოეფიციენტი.

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
98-65-87; 899 32-85-76.

## ძვირფასო მკითხველო!

ჩვენს გაზეთში თქვენთვის საჭირო განცხადების ან რეკლამის განსათავსებლად შეგიძლიათ ისარგებლოთ იმეილით ან ფაქსით. ინფორმაციის მიღებისთანავე დაგიკავშირდებათ ჩვენი რედაქციის წარმომადგენელი და მოგაწვდით ყველა საჭირო მონაცემს.

იმეილი: sakresp@ayety.ge
ტელეფონი: 98-65-87 (89932.85.76ძ.
ფაქსი: 98-65-87.

## ანეკდოტები

— როგორა ხარ, როგორ ცხოვრობ?
— არა მიშავს. როდესაც თავს ცუდად ვგრძნობ, „სასწრაფოს“ მივყავარ, როდესაც კარგად — პოლიციას.

* * *



— ღვინო უფრო მოგწონს თუ ქალები?
— გააჩნია, რომელ წელსაა წარმოებული.

* * *

პატარა ბიჭუნა ხედავს, რომ მისი მშობლები ჩაბნელებულ ოთახში ერთმანეთს ესიყვარულებიან, მაგრამ ჯერ კიდევ არ იცის, რა არის ეს, ამიტომაც დილით დედას ეკითხება:
—რას აკეთებდით წუხელ ჩემგან დაფარულად საწოლში?
—ომობანას ვთამაშობდით...
მეორე დღეს დედამ სთხოვა შვილს, შედი მამაშენთან და უთხარი, რომ ომობანას თამაში მინდა...
— დედაშენს გადაეცი, მამა გუშინდელ ომში დაიღუპა-თქო, უპასუხა მამამ შვილს.

* * *

სარეკლამო ფარი სასაფლაოზე: „აქ შეიძლებოდა თქვენი საფლავი ყოფილიყო“.

## კადრი



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. № 12.

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნის“ დამფუძნებლები
აიწყო და დაკაბადონდა გამომცემლობა „მაქსიმუმში“. 95-11-92
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
98-65-87; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოზულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 899 74-90- 07

ინდექსი 66434

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.